# ცისკარი.

**1865**

ივნისი.

## წელიწადი მეექვსე.

წოდება თხზულებათა:

I — ევგენი არამი ანგლიური რომანი (თარგ). ი. კერესელიძისა.
II — ლექსები: 1, ფანტაზია. ივანე ბერიძისა. — 2, გამოსადევი. მზცეჭაბთეკისა. — 3, ქარის წისქვილი. დიმ. ბერიევისა. — 4, ჩ..... თ.....! მისივე.
III — საჭიროა ამ ჟამად თხზულებანი იწერებოდენ ქართულს ენაზედ თუ არა. დიმიტრი ჯანაშჳლისა.
V — სხჳა ჲ სხჳა ანბავი (იხილე მეორე გვერდზედ.)

---

ტფილისი.

კერესელიძის ტიპოგრაფიაში.

თბილისი

# ევგენი არამი.

(დასასრული.

დადგა ჯუარის წერის დღე, ევგენი არამისა და მაგდა-ლინასი ახალგაზდა მსწავლულის სახლში ყოველიფერი მო-მზადებული იყო, რომ მიეღოთ პატარძალი; მაგრამ მაი-ნც ევგენის ბებერმა ყრუ დედაკაცმა ორი დედაკაცი კი-დევ მოიწვია სოფლიდგან, რომ დახმარებოდნენ საქმის გაკეთებაში. უნდა შევნიშნოთ, რომ ამ დედაკაცის გარდა იმ დღეს შემოვიდა არამის სახლში თვრამეტის წლის გო-გო, რომელიც იყო მოახლე მაგდალინასი.

—როგორ გამხმარან ეს ყვავილები! ბუტბუტებდა ის ბოროტი დედაკაცი დარკმასი, რომელიცა მოვიხსენით თავში, და თან აიღო რა დიდი ყვავილები ჩარგმული ვაზა დასდვა ფანჯარაში. როგორღაც ვერ იყურებიან მხიარუ-ლად! ისე ვერ არიან როგორც ჰაერში.

—მართალია,—მიუგო მეორე ბებერმა; გუშინ უფრო მხია-რულათ იყვნენ, როდესაც ელეონორამ გამოგზავნა თავიანთ ბა-

ღითგან ჩემის ჴელით. ამბობენ, ვითომც ეს უფალი დიდი მიმდევია ყვავილებისაო. ეს ძრიელ კარგი ნიშანია. სჩანს, ძრიელ კეთილი კაცი უნდა იყვეს

—სა! ს! ს! როდესაც ჯოუ პრენსი მიჰყავდათ ეშა-ფოტზედ სასიკჳდილოთ, ამისათჳს, რომ იმან მოჰკლა ერთი ლორდი, ჴელში ეჭირა ყვავილების კონა დ~ იძახდა: «ყოველთჳს მიყჳარდნენ ყვავილები, როდესაც ვეარშიყე-ბოდი ერთს ქალს დ~ ახლაცა ჩემის ყვავილებით უნდა მოვკვდეო.» ეს აი რას ნიშნავს. შეიძლება კაცს უყვარდეს ყვავილები, მაგრამ ავაზაკი კაციკი იყვეს. ჰსთქჳა ბებერმა დარკმანსმა.

—კარგია! რაებს ლაპარაკობ ქორწილის დღეს?

—რა არის მითომ? არ გითხარი წელანვე, რომ ეს ჯჳარის წერა კარგს არას მოასწავებს.

—რისთჳსა გგონია აგრე?

—გინახავს ამისთანა შესახედაობის კაცი? განა შეიძლე-ბა მაგისთანა კაცისაგან მოელოდეს ვინმე ბედნიერებასა? არა; არა; ამ სახლში ვერასოდეს ვერ გაიგებს კაცი ყმა-წვილის მხიარულს სიცილსა. ვერ ნახავს ყმაწვილს მამის კალთაში მჯდომსა, დ~ ვერ შენიშნავს დედის პირზედ დე-დაშჳლურს ღიმვასა. არა. არაოდეს! ამ კაცში ეშმაკი ზის!

—კარგია ერთი თუ ღმერთი გრწამს! სთქჳა დედაკა-ცმა, რომელმაცა გაათავა თავისი საქმე დ~ დაჯდა ფან-ჯარასთან,—ბოროტების მომსწავებელი დარკმანსკი მაინც კიდევ რაღაებსაც ბუტბუტებდა.

—არა, არა მეთქი; ამ სახლში მხიარულებას ვერ ნახავს კაცი თავის დღეში; მე შევნიშნე, როდესაც დღეს გავიდა

დილით შინადან, რომ ამ ქორწილის დღეს, ისიც მეფე, ჰქონდა შექურუთებული, საშინელი შეჭმუხვნილი სახე. ცუდია, ძრიელ ცუდია! რაღაც რამ ცუდი მოხდება აქა ტყვილათკი არ ვნახე წუხელის სიზმარი.

—რაო, რა ნახე,—ჰკითხა მეორე დედაკაცმა დარეჯანს, რომელიცა განთქმული იყო ამ გვარ წინათ მომასწავე-ბელს მოჩვენებაებით.

—აი რა ვნახე. წუხელის გვერდს უწექი ამ ყრუ დედა-კაცსა; ჩვენ ორივემ დავლიევით ნეფის და დედოფლის სადღეგრძელო. იქნებოდა შუაღამე, რომ დავაპირე შინის-კენ წასვლა. რა მივიდოდი ტყეში, ვნახე რაღაც მოდი-ოდა შავად. მე ფიცხლავ შევდექი და სრულებით არ შე-მეშინდა. ბოლოს რა ახლოს მიველი ვნახე, რომ ეს იყო თაგვების ჯოგი, ისინი მიდიოდნენ ამ სახლითგან სოფ-ლისაკენ. უთუოთ იცოდნენ, რომ აქ უბედურება უნდა მო-ხდეს, რომ გაქცეულიყვნენ ამ სახლითგან. ყველამ ვიცით, თაგვი ერიდება იმ ალაგს სადაცა ნახამენ უბედურებასა.

ეს დედაკაცი ამ ლაპარაკში, რომ იყო შემოვიდა არა-მი, რომლისაცა არ იამა ამ დედაკაცის დანახვა და უთხრა თავის ყრუს მსახურს, რომ ორივენი შინ გაესტუმრებინა.

—გარეკე, გარეკე, ღარიბი ხალხი,—რა გამოდიოდა დარეჯანი ბუტბუტებდა თავისთავის,—და ეს იცოდეკი, რომ თაგვები კარგს არ მოასწავებენ არაოდეს, არაოდეს არაოდეს!

არამი დაეშო კრესლაზედ და დიდ ხანს იყო ფიქრში; შემდგომს ადგა და ავიდა ანსერვატორიაში.

ახლა შევიხედოთ ლუკტერის სახლში, თუ რა ამბავია:

დარჩა ჯვარის წერამდისინ კიდევ სამი საათი და არამს

მოელოდნენ ლუსტერისას კვარის წერის ერთის საათის წინათ. ზარი სოფლის ეკკლესიისა მაინც ირეკებოდა დიდ ხანს ამ ამბავისათვის. ამ ზარის ხმას აღტაცებაში მოჰყვა-ვდა მაგდალინა. მშვენიერი პატარძალი იდგა სარკის წინ ელეონორა მრთოლვარეს ხელებით უწნავდა თმებს და ამ-კობდა თავის დასა მომატებულის ქებით. სურვილი, იმე-დი, მილოცვა, ოთხ კუთხიდგან ისმოდნენ იმაზედ სოფ-ლელის დედაკაცების თუ კაცებისაგან. ფანჯრები გაღებუ-ლი იყო და ცივი ნიავი შემოდიოდა ოთახში.

—როგორი შექურუთებული დღე არის, ელეონორა? სთქვა მაგდალინამ, თან კანკალებდა სიცივისაგან.—მგონია, ახლავე ზამთარი დგება.

—მე მივხურავ ფანჯრებს, ღრუბლები არიან მართლა შავი ცაზედ, მაგრამ ზოგჯერ მზე გამოანათებს ხოლმე. იმედი მაქვს, რომ გამოიდარის. მაგდალინა! განა რომ... განა რომ არ წახვალ სადამომდის!... სადამომდის კიდევ ჩემნი სტუმარი ხარ, ეს სთქვა ელეონორამ და ჩამოყარა თვალებიდგან ცრემლები.

—ნუ სტირი,—უთხრა მაგდალინამ და იმასაც მოერია თვალებში ცრემლები, ორივემ მოჰყვნენ ტირილს, რა წა-მოუდგათ თვალწინ განშორება.

—უყურეთ რა ვისიამოვნებთ, საშობაოთ,—ბოლოს სთქვა მაგდალინამ.—შენ რასაკვირველია ჩემთან იქნები, მეზენიმ ოთახიც მოგიმზადა საკუთრად შენთჳს, როდესაც მოხვალ ხოლმე. მამა და, ვალტერი როდესაც დაბრუნდე-ბა, მოვლენ ხოლმე ჩემთან სანახავათ ერთად და ნახე რო-გორ გაჰკვირდებიან ჩემ სახლ-კარიანობის მოვლაზედ.

სადილს უკან მიუსხდებით ბუხარს, მე დავჯდები ევგენის გვერდზედ, მეორეს მხარეზედ მომიჯდება მამა, როგორც სტუმარი. ჩვენ პირდაპირ ისხდებით შენა და ვალტერი, ევგენი იმ დროს ყველაზედ მხიარულათ იქმნება. წაგვიკითხავს ხოლმე წიგნს რასმეს, თავისის ჟღეროვანის, სასამოს ხმით, და დაგვიწყებს ტკბილათ საუბარს ბოტანიკაზედ. ვახშამს უკან მამას და ვალტერს გამოვაცილებთ ეზოს კარებამდინ. შემდგომს დავტკბებით ვარსკვლავების ყურებით და თან ვისწავლით ვარსკვლავთ მრიცხველობას ევგენისაგან, მართალია თუ არა ელეონორა? ასე მხიარულებაში გავატარებთ აი შობასა! შემდგომს, როდესაც დადგება გაზაფხული, ერთს მშვენიერს მზიან დილით, როდესაც ფრინველნი ჭიკჭიკს მოჰყვებიან, ფოთლები გამოიფურთქნებიან ხეებითგან, გამოჩნდებიან ყვავილები, შენ დამიძახებ, რომ მოგეხმარო საქორწილოდ ისე, როგორც ახლა შენ მეხმარები.

როდესაც ამ სიტყვებით ნუგეშსა სცემდა მაგდალინა თავის დასა, შორითგან შემოისმა ეკიპაჟის ხმა. ამ ხმას თან და თან ემატებოდა, ხალხი გარბოდა თავიანთ ეზოებითგან, რიღასიც სანახავათ. ტროიკის ზარების ხმა თან და თან ხშირდებოდა. ორივე დები მისცვივდნენ ფანჯარისაკენ და დაინახეს, რომ ამ ეკიპაჟმა რა გაიარა იმათის ფანჯრის წინ, შედგა სახლის შესავალ კარებთან.

—ოჰ, ღმერთო!... ეს... ეს.... ვალტერია! ყვიროდა ელეონორა, გაყვითლებული.

—ის უმცროსნი პირნი ვიღანი არიან შიგ რომ უსხედან? წარმოსთქვა მაგდალინამ, აგრეთვე ფერწასულმა და

ათრთოლებულმა.

## XI

არამი, მარტო გაივლიდა და გამოივლიდა თავის ოთახში.

დიახ!—ლაპარაკობდა თავისთჳს, ახლა აღარაფრისა აღარ მეშინიან! ის აღარ დაბრუნდება, ის წყეული გაუხმან. ახლაკი შემიძლიან დამშჳდებულის გულით, თავი გულში ჩაუდვა მაგდალინასა; ღამეც აღარაფრის რიდი და შიში არ მექნება. დროკი არის ახლა, დავიმშვიდო გული, არ მეყო რაც ვიტანჯე? დროა მეცა ვიცინოდე და ვმხიარულებდე ისე, როგორც სხვანი მხიარულებენ და იცინიან,

ის შესდგა ამ უკანასკნელს სიტყვაზედ და გაიღიმა, რა შემოესმა მხიარული ხმა ზარებისა.

—რეკამენ! რეკამენ ძვგენი არამის ქორწილისათჳს! რას ვიფიქრებდი მე ამას ამ ორის წლის წინათ? მაშინ ჩემს სულში მეფობდა სიბნელე და საშინელება! ახლა? ახლა მე მინდა ბედნიერად ვიცხოვრო და ვიცხოვრებ კიდეც! ოჰ! მაგდალინა როგორ მიყვარხარ, როგორი ძჳრფასი რამა ხარ ჩემთჳს! არ შეინანებ ჩემს ქმრობას, შემიძლიან შენი გაბედნიერება! ეს რა მემართება? თითქოს რიღასიც მეშინიან! რათა? როგორღაც სასოება მეკარგება.

ფიქრში შესულმა არამმა ვერ შენიშნა, რომ შესდგა ზარის ხმა. ის უნებურად მივიდა ფანჯარასთან და რა გადაიხედა დაინახა რამდენიმე კაცი იმის სახლისკენ მიმავალი რომელთაცა წინ მოუძღოდა ლუსტერი.

—ეს რა ამბავია? ფიქრობდა არამი. იქნება ჩემ წასაყვანათ მოდიან, რა მოახლოვდა ჯვარის წერის დროს?

რა ვქნა. ჯერ კიდევ ადრეა! ერთი საათი კიდევ არის დარჩომილი მინამდინ. ჭო! იქნება ლესტერს საჩუქარი რამ მოაქჳს ჩემთან! უნდა მადლობა შევსწირო, ამ გვარ ჩემის პატივისცემისათჳს. ეს რაღა მემართება? ჴელები მიკანკალებენ. ძარღვები როგორღაც მერყევა. უნდა დავი-სვენო, ეგები ჩემს ღონეზედ მოვიდე.

მართლა და წინათვე გრძნობამ, არამს მოჰგვარა შიში ის დაემო კრესლოზედ, ცდილობდა დაემშჳდებინა გული რომ უცებ შემოესმა თავისის კარების მრიელ რახუნი!.... არამ წამოხტა გაყჳთლებული,—კანკალებდა და ძლივსა სუნთქავდა.

—ღმერთო ჩემო! დაიძახა არამმა და დაჰკრა ტაშსა. ეს რა მესმის, ეს რა ხმა შემომესმა «კაცის მკვლელიო!» სწორეთ, ეს სიტყვები შემომესმა. თითქოს ეს ხმა ვალ-ტერის ხმასა გავს!... ხომ არ დაბრუნებულა?... ვაჲ თუ შეუტყვია?...

არამი მივარდა კარებს და ჩაკეტა უფრო მაგრათ.

კიდევ შემოისმა ხმა «კაცის მკვლელიო!» ნუ ბიჭერი ყვიროდა ვალტერი ძირითგან, მე უნდა დავიჭირო, თუ-თან მე უნდა ვტაცო ჴელი, მაგ კაცის მკვლელსა!

ყველა გამოჩნდა ახლაკი. საშიშროება და სიკჳდილი მო-ელოდა არამსა. ხსნის გზა აღარ ჰქონდა: გაქცევა შეუძ-ლებელი იყო, თავის მოკვლა ასე უცებ, აგრეთვე ძნელი: დამბაჩები მირს ოთახში დარჩენოდა თვალი გარდაავლო მრთელს თავის აბსერვატორიასა; სასიკჳდილო იარალი არა იყორა. რა ექნა? არამმა, როგორც იყო თავი შეიმაგრა და დაუწყო ლოდინი.

—გამიშვით! ყვიროდა ვალტერი და რაც ძალა ჰქონდა არახუნებდა კარებს.

—ჩუმათ, ეუბნებოდა მოხუცი ლესტერი და იმაგრებდა ძმისწულს. ნუ ჰკარგავ გონებას! ჯერ უნდა დარწმუნებით შეიტყო!... მე სრულებით არა მჯერა. მოექეცი ისე, როგორც, მოექცევიან უმანკო კაცსა, გთხოვ ამას... გიბძანებ ისე მოექეცი, მინამ სწორეს შეიტყობდე.

—გამიშვით, ბიძა ჩემო! მიუგო ვალტერმა, როგორც გაგიჟებულმა,—ეგ არის მამის ჩემის მკვლელი!

ამ სიტყვებმა ვერ მიასწიეს არამის ყურამდინ.

—გააღეთ კარები, თორემ ძალათ შემოვსცვივდებით! ყვიროდა ვალტერი.

ბოლოს არამმა პასუხი მოსცა, ისეთის დამშჳდებულის ხმით, რომ ლესტერი სრულებით დარწმუნდა იმის უმანკოებაზედ.

—ვინ არახუნებს კარებს, აგრე შეუპოვრად? რას ძალიანობთ? მე ჩემს კარებს უღებ მხოლოდ ჩემს მეგობარს. მეგობარი მთხოვს თუ არა კარის გაღებასა.

—მე გთხოვ დაუძახა ლესტერმა კანკალით. აქ ერთი საშინელი ეჭნეულება მოხდა. გამოდი ჩვენ და აღსენი ერთის სიტყვით.

—ეგ თქვენა მძანდებით ლესტერ? საკმაო გასლავთ! მე საქმეში ვიყავი, ცოტა საწერი მქონდა და არ მინდოდა დაეშალა ვისმე. შემობძანდით!

კარები გაიღო, და რა შევიდნენ თჳთან ვალტერი, პოლიციის ჩინოვნიკები, რომელნიცა მოჰყოლოდნენ იმას თანა უკან შედგნენ, რა დაინახეს მშჳდობიანი და კეთილ-

მობილური სახე ევგენ არამისა.

—რა გნებავთ ბატონებო? ჰკითხა დაწყნარებულის ხმით და სრულებით არ შეესაცვალა პირის სახე, თუმცა იცნო პოლიციის ჩინოვნიკები, რომელნიც ენახა კნარესბორო-უში.

ამ არამის ხმაზედ ვალტერი შეთრთოლდა და დაუყვირა პოლიციის ჩინოვნიკებს.

—წამოიყვანეთ! აი ეგ არის თქჳენი ტუსაღი!

—შედექით! წამოიძახა არამმა. რა უფლებით მაძლევთ მე მაგ შეურაცხებასა? რისათჳს მატუსაღებთ?

—აი, მიუგო ვალტერმა, აი ქაღალდით ბძანება! შენ გამტყუვნებული ხარ კაცის კვლაში! გეცნობა თუ არა გა-უსმანის სახელი? კარგათ იფიქრეთ!... ან კიდევ გახსოვს დანიელ კლერკა?

არამმა ჩაავლო თვალი ქაღალდს და გაყვითლდა. იმან შეხედა ვალტერს, და კიდევ თვალი ჩაავლო ქაღალდსა.

—გაუსმანის სახელი, მე მახსოვს სთქჳა მშჳდობიანის ხმით არამმა.

—დანიელ კლერკსაც იცნობდით?

—ეგ კითხვები რას ნიშნავენ? სთქჳა არამმა მოთმინე-ბითგან გამოსულმა,—განა შეიძლება, ყველა შენისთანა ბალღმა მაგ გვარის კითხვებით შეურაცხება მიაყენოს თა-ვისუფალ. უმანკო კაცსა? მიმიყვანე მთავრობასთან და იქ მიუგებ პასუხსა. და თქჳენ ნაცვლად პასუხის მოცემისა, მოქცევ სიძულილსა.

—მაგისთანა ბრიყვული სიტყვები, ვერ დაგიხსნიან შენ კაცის მკჳლელო! დაიყვირა ვალტერმა, დასხლტა ბიძას

ყელითგან და რა მივარდა არამს, ჩავლო ყელი საყელოში.

—ბატონებო! სთქუა ახალგაზდა მსწავლულმა ჩვეულებრივ სიწყნარით, რა მიუბრუნდა პოლიციის ჩინოვნიკებს, მე თქჳენა გთხოვ, აღასრულოთ თქჳენი მოვალეობა, თუ რომ ეგ ბძანება სამართლიანი არის და სჯულიერი. მე ვარ თქჳენი ტუსაღი და არა ამისი, მე გთხოვ დამიფაროთ ამისგან.

ვალტერი ცოტა მოეგო გონსა.

—ისე გაანჩხლებული ვარ, რომ სრულებით თავიც მავიწყდება. ჩემს საღმრთო სჩივარს არ შემვენის ქსრეთი ძალადობა, დაესხენი გარდაგიხადონ ღმერთმა და მართლმსაჯულებამ.

—რაო, რას ანბობ? არ მესმის მე აქ სრულებით არაფერი? სთქჳა არამმა,—კაცის მკვლელი ვარ, ვიღაცა კლერკასი? ვინ იყო ის კლერკაა ვიღაც შენი?

—ეგ სახელი მოგონებულია, მიუგო ვალტერმა, და თან არამს უყურებდა გაბრაზებულის თვალებით. ნამდვილი სახელი და გვარი იმისი არის ჯოფრე ლესტერი, ის მოკლული შენგან ჯოფრე ლესტერი, იყო მამა ჩემი და ძმა იმ პატიოსანის კაცის, რომლის ქალზედაც დღეს შენ ჯჳარს იწერდი თუ არ მომესწრო.

არამი გრძნობდა, რომ ყველას ყურადღება იყო იმაზედ მიქცეული.

—რაო? სინიდისი მითომ არა გჯანჯავს შენა? ყვიროდა ვალტერი, რა ნახა რკინასავით გახდა არამი.

აქ ლესტერი, რომელმაცა ვეღარ აიტანა ეს საშინელება, მოეხვია არამსა და დაიწყო ტირილი.

—მე არ გამტყუვნებ შენ ქვენი... ჩემო შვილო... ჩემო სულიერო შვილო! მე ვგრძნობ მე ვიცი, რომ შენ მართალი ხარ.... შენი გული არ ჩაიდენდა ამ გვარ საშინელს დანაშაულს!... შენ, რომელსაცა არათუ კაცისა, ჭიის მოკლის ნიჭიც არა გაქჳს! საწყალი ვალტერი გონებით დაბრმავებულია, არ ესმის, რასაც ჩადის!

ცრემლებმა დაუშალეს მოხუცს, ვეღარა განაგრძელებინეს ლაპარაკი; არამი უყურებდა იმას შეწუხებული და ნუგეშსა სცემდა, რომ მართალი იყო ბოლოს გამოვიდნენ გარეთ, გამოიყვანნეს არამი და რა მოუვიდოდათ პოლიციის ჩინოვნიკები ექცეოდნენ თავაზით, რა დარწმუნებულები იყვნენ იმის უმანკოებაზედ.

ეს სამი ბებერი დედაკაცი, რომელიცა აღვწერეთ ზემოთ, ყურს უგდებდნენ კარების უკან ამ ამბავსა. ყრუ დედაკაცს სიტყვები სრულებით არ ესმოდა, და რა ნახეს გაჰყავდათ, მივიდა და ფეხებში ჩაუვარდა არამსა.

—ეს რასა ჩადიან? როგორა ჰბედამენ, ამის შეურაცხებასა? ოჰ, ბატონო! ღმერთმა დაგლოცოს და დაგიფაროს განსაცდელისაგან! თქჳენისთანა კაცს სადღა გნახავ მე. ყოველთ გაჭირებულთ პატრონსა და ნუგეშსა!...

არამმა მრთოლვარეს ხმით უთხრა ლესტერსა:

—თუ რომ ეს ფიქრი ამისი მართალია... თუ რომ... ვეღარ დავბრუნდე, ნუგეში ეცით მაგდალინას.

ცრემლები ვერ აძლევდნენ ნებას ლესტერს, მიეცა პასუხი. არამმა, რა გაიარეს ლესტერის სახლის, წინ თავი მოარიდა მაგდალინას ფანჯარას, საიდგანაც ყვავილები უღიმებდნენ იმას.

— ბატონებო! წამობძანდით ჩქარა წამობძანდით! იძახ-და ისა.

მოთამაშე ხალხი მისდევდა აქეთ იქით; პოლიციის ჩი-ნოვნიკები წინ მისდევდნენ, იმათ უკან მიდიოდა ლეხ-ტერი და შემდგომს ვალტერი. კეთილი მოხუცი ნუგეშსა სცემდა არამსა და ეუბნებოდა, მართალი ხარ და სიმართ-ლისანი უკან დაბრუნდებიო.

— მაგდალინამ იცის ნეტა ეს ამბავი? ჰკითხა ევგენიმ.

— არაფერი! ჩუენ დავუმალეთ.

— ეგ ძალიან კარგათ გიფიქრიათ. რა საჭიროა არის იმან იცოდეს. მხოლოდ ეს უთხარით, რომ ვალისათჳს დაიჭირესთქო.... მხოლოდ ორი თუ სამი დღე დაუგვი-ანდებათქო....

— დიახ! მაგრამ არა სჯობია შენ თჳთან ნახო და შენ თჳთან უთხრა ევგენი.

— მე!... ოჰ, ღმერთო! მე, რომელიცა ვინ იცის რასა ვფიქრობდი დღეისათჳს. არა, არა, დამიხსენით ამ ტან-ჯჳთის ნახვისაგან! არა, ჩუენ არ უნდა ვნახოთ ერთმა-ნერთი, მიდით, უთხარით რამე ნუგეში ეცით და დაბრუ-ნდით ისევე. ჩქარა დაბრუნდით, რომ მარტო არ დამაგ-დოთ ამ მტრების შუა

უცებ შორითგან გამოჩნდნენ ორნი დანი თეთრად ჩა-ცმულები საქორწინოდ. მოვარდა მაგდალინა და გარდაე-ხვია არამს ყელზედ.

— ვერ შევიმაგრე, სთქუა ელეონორამ, თითქოს მამას მოტევებას ჰსთხოვს ამისათჳსაო.

— ვერ შევიმაგრე? რისთჳს? განა შეგი არ უნდა მივი-

ლო მონაწილეობა.

—რა ამბავია? იძახდა ელეონორა, ეს რას ნიშნავს მამავ. რათა სტირით? პასუხს რატომ არ მაძლევთ? მითხარით ღუთის გულისათჳს! ეს უმცნობები ვინ არიან? შენ ვალტერ, შენ.... აგრე ყვითელი რათა ხარ? შენ მაინც მითხარი გეთაყვა ვალტერ!

—ხთქჳ? ყვიროდა მაგდალინა, რომლის ხმას სრულებით ვერ იცნობდით,—ისეთის ხმით ყვიროდა, რომ თჳთან პოლიციის ჩინოვნიკებსაცკი შებრალდათ.

—მაგდალინა! უთხრა არამმა,—აბა დრო ახლა არის, გამოიჩინო მხნეობა. რატომ არ იცი შენა ხარ პატარძალი იმ კაცისა, რომელსაცა თავის დღეში არ შეშინებია კაცთა ბოროტის ქცევისაგან! გახსოვდეს ეს, ნუ დაივიწყებ!

—მე არ მეშინიან.... არა ქმბენ! მხოლოდ მითხარი... ჩქარა, ეს რა ანბავია, მიუგო მაგდალინამ.

—მე მამტყუვნებენ დანაშაულებაში, არ უნდა მეთქო შენთჳს სწორეთ, მაგრამ ვიცი მოტყუება გწყინს. იმედი მაქუს ყველას აიტან ჩემთჳს. მაშ იცოდე ხჯობია ყველა მე მამტყუვნებენ დანაშაულში. ისიც როგორც ცილის წამებით ვითომც კაცი მომეკლას.

ამ დროს მაგდალინას ხასეზედ მკჳდრის ფერი დაედვა. ეს სიტყვები მეტად ეცნენ მაგდალინას გულში: მაგრამ შეიმაგრა თავი.

—კაცი მოგეკლას?! შენ?... შენ? ვის შეუძლიან მაგგვარის ცილის დაწამება.

—აი უყურეთ თქჳნი ბიძაშჳლი მწამებს მაგასა.

ელეონორამ რა ეს შეიტყო, უგრძნობლად დაეცა მი-

წაზედ. მაგდალინა გამბედაობის ნიშნით მიუახლოვდა ვა-ლტერს, შეხედა ნაზის, ცხადის სახის მეტყველებით დ თითქოს უნდა შეიტყოს იმის გულის პასუხიო, უთხრა:

—ვალტერ! ეს რა მესმის? სიზმარი ხომ არ არის ესა? შენ ცილსა სწამებ ქვეყნი არამსა?... შენის მაგდალი-ნას საქმროსა?... იმ მაგდალინასი, რომელიცა ერთხელ გიყვარდა... რაზედა სწამებ ცილსა?... იმაზედ, რომლისა-თჳსაც ისჯებიან დამნაშავენი. სიგიჟლილით? არა! ეს შე-საძლებელი არ არის! თქჳ, რომ ჰსცდებითქო... ვალტერ.. თქვი!... ნუგეში მეცი!...

—ნუთუ არავის ვებრალები? სთქჳა ვალტერმა დ თვა-ლებზედ ჴელი მიიფარა. შურისძიების მტვერში იმას ას-ხოვდა თავისი მოვალეობა დ ის ავიწყდებოდა, რომ ამი-სი ეს სასტიკი ქცევა სტანჯავდა იმის ახლოს ნათესავებს.

—შენა თხოულობ შებრალებასა? მე ვიცი რომ ტყვი-ლი არის! ეუბნებოდა მაგდალინა მე ვიცი რომ შენ არ გინდა ბოროტება მიაყენო ქვეყნის! სთქჳ, რომ შესცდი დ ჩჳენ ყველანი მოგიტევებთ, დავივიწყებთ ყოველს, და-გლოცავთ.

არამი არას ამბობდა მხოლოდ უყურებდა დ ხედავდა რაც მოქმედება ჰქონდა მაგდალინას სიტყვებს ვალტერზედ.

—სთქვი ვალტერ! იძახდა მაგდალინა,—სთქვი, საყვა-რელო ვალოჳერ! ნუ თუ ეგ შენა ხარ! ჩემი საყვარელი ძმა! ნუ თუ მოინდომებ ჩემის იმედების მოსპობასა! სიყუარუ-ლის! ამოხოცასა!... ნუ თუ მოინდომებ მწუხარების ჩა-მოთესასა იმ სახლში, სადაცა მეფობდა მშჳდობა, მყუდ-როება დ მოსვენება? ეგ რა გაგიბედნია? ეგ რა ჩაგიდე-

ჩია? ცილი დაგიწამებია! რაში? კაცის კვლაში? არა! მაგ აზრით ვერ გაბედავდი აქ მოსვლასა, რომ შენი დები ბენასა მაგისთანა უბედურებაში. რომ მოგვეგონა მაგისთანა სიცრუე, დასაჯერებელი არ არის!....

ვალტერმა პირი შეაქცივა და უთხრა:

— დაესსენ დაამტკიცოს, რომ უბრალო არის!... ინებოს ღმერთმა, რომ დაამტკიცოს!... მე ხომ არ ვამტყუვნებ ამას, მაგის გამამტყუვნებელი არიან მამის ჩემის ნაშთი ძვლები!

— მამი შენის ნაშთი ძვლები! — სთქვა მაგდალინამ და უკან დაიწია, — ჩემის ბიძისა! განა შენ იცნობდი მეფენ ბიძა ჩემსა?... განა გინახავს როდისმე თვალით ჯოფრე ლესტერი?

თავის დღეში! მიუგო არამმა და დაიდო ხელი გულზედ. — თავი დაგვანებე ახლა საყვარელო მაგდალინა. მე იმედი მაქვს თავი ვიმართლო და დღეს დავბრუნდები შინა. წავიდეთ ბატონებო!

ოჰ, ევგენ! — შეჰყვირა მაგდალინა, და დაეცა მუხლზედ იმის წინ. — ნუ მიბძანებ ახლა თავის დანებებას... ახლა, ამ საშინელს წამში!... არაოდეს! ნუ მიყურებ მრისხანედ! გეფიცები ღმერთს, რომ ვერ მოგცილდები! მამავ, საყვარელო მამავ, გამოესარჩლენით ჩემს ევგენის, ამასთანავე გთხოვ მეც თან წამიყვანოთ. ჩემს სიმართლის ძეგვი ნუ გაქჩესთ. არ შეგარცხვენთ, ნუ გეშინიათ მე ვიცი, როგორც უნდა მოიქცეს ის ქალი, ვისაც ეგ უყვარს: გამომცადეთ.. განა ტირით მამავ! ევგენი! ნუთუ ჩემი თავიდან მოშორება გსურს? განა შეიძლება აქ მოსვენებით ვიყო

უთქჳრნოთ? რასა გთხოვ? მხოლოდ ამას, რომ, ნება მომცე თან წამოგყვე, გნახო იქიდგან, როგორც გამარჯვებული დავბრუნდებით.

— ოჰო ღმერთო, დაიძახა არამმა,— რა მოესვია და დაუკოცნა ცივის ტუჩებით პირი. მე თანახმა ვარ, მხოლოდ ნება ხთხოვე მამასა. თან რომ მყვანდე, ასე მეგონება, მცველი ანგელოზი მყავს თანა.

მართალს ამბობ ქვენ.—სთქუა ლესტერმა, დაეხსენი გამოგყვეს თანა.

მაგდალინამ სიხარულით გაუყარა არამს მკლავში ხელი თითქოს ეშინოდა არავინ წამართონო.

ვალტერს გული უცემდა: მოხუცებული ბიძა ტიროდა მაგდალინა ვალტერს სრულებით არ უყურებდა; ელეონორა უგონოთ იყო, და ყოვლის ამის მიზეზი იყო ვალტერი! რომელმაცა ქუდი ჩამოიფხატა თვალებში და ჩაჯდა მარტოთ მარტო ეკიპაჟში. ლესტერი, მაგდალინა და არამი ჩასხდნენ ერთად. ხოლო პოლიციის ჩინოვნიკები ცალკე ისხდნენ მესამეს ეკიპაჟში, რომლითაც უკან მიზდევდნენ არამს, რა არის არ გაგვექცესო.

## XII

ისინი მივიდნენ გამოჩენილს მსაჯულთან (სუდიასთან) რომელნიცა იდგა გრასდელის ახლოს იმან გამოუცხადა ამათ, რომ ესენი უნდა წასულიყვნენ იორკშირში და იმ ქალაქის მსაჯულთან გამოცხადებულიყვნენ რადგანაც ჩვენების ჩამორთმევის დროს უნდა დასწრებოდა მღვდელი ხონტორაში.

არამი იყო დიდს აღრეულებაში, როდესაც ეს შეიტყო, მაგრამ ცდილობდა დაეფარა და სჩვენებოდა მშჳდობიანის სახით.

—მაგდალინა! სთქჳა არამმა ბოლოს,—გმადლობ შენის კეთილშობილურის თჳსებისათჳს; ახლაკი უნდა გამშორდეთ; ჩემი სახელი გაჩირქიანდა ქვეყანაში, ახლა მე ღირსი აღარა ვარ არცა სიყჳარულისა, არცა მეგობრობისა! მშჳდობით!

—ჩჳენც შენთან მოვდივართ,—მიუგო მაგდალინამ გამბედაობით და წყნარის ხმით

არამს სახეზედ მხიარულების ფერმა გადურბინა.

—ჩჳენც შენთან მოვდივართ, ჩემო მეგობარო! განიმეორა ლესოერმაც.

ასეც იყო, იმავე ღამეს ლესტერი თავისის ორის ქალით გაჰყვა არამს თანა.

ამაოდ ეუბნებოდა ვალტერი ბიძას არ გაჰყოლოდა და უჩურჩულებდა:

—ღჳთის გულისათჳს ნუ ენდობით მაგ კაცსა, მაგის მეგობრობასა! ჯერ თქჳნ კარგათ არ იცით. მე გეუბნებით, სწორეთ დამნაშავეა ეგ კაცი, მაგაში ეჭვი აღარ არის! მოიგონეთ, რომ თქჳნი ძმის მკჳლელია! ნუთუ იცვამთ თქჳნის ძმის მკჳლელსა?

—არა, არა, იძახდა კეთილი მოხუცი, რა კელი ჰკრა ძმის წულს,—ლესტერი შენ იმისთანა კაცი ნუ გგონია, რომ თავისს მეგობარს უღალატოს ამისთანა შავს დღეში. ხმა ჩაიწყვიტე გეუბნები! შენ ამბობ, რომ ჩემი საწყალი ძმა მომიკლეს? ფუ! რა საშინელი ცილის დაწამებაა! მე

შენ არ მომატყუებ ვალტერ, შენ მართალი ხარ, ამისა-თჳს, რომ მამის შენის სვედრს გაუგიჟებიხარ, ისე, რომ არ იცი რას მოქმედებ, მაგრამ ამ უბრალო კაცმა რა ქნას ჩემმა ევგენიმ, რომელიცა ჩემ თავზედ მეტად მიყვარს მიყვარს როგორც შჳლი და ამის მტერს ვერ უყურებ გუ-ლგრილად.

ამ დროს ვალტერს მიუახლოვდა კაპრალი რომელიცა არ ერივა ანბავში, გზაზედ და ჰკითხა:

—აბა რაო? როგორ მიდის საქმე? ხომ მოხპევი მაგ უმგზავსოს ხსენება?

—ჩუმათ, მიუგო ვალტერმა,—წადი მოემზადე ისევე იორკშირში მივდივართ, სადაც ეკიპაჟი მომივა და შენც თან უნდა წამომყვე.

—კარგია, ბატონო, მიუგო კაპრალმა. მაგრამ ბიძა თქვენს არ უთხარით, როგორი სამსახური გაგიწიეთ გზაზედ? ან არა ჰკითხეთ, როგორი ზრუნველობა ჰქონ-და ჩემს ჯაკომინაზედ!

ჩვენ აქ ვეღარ აღვწერთ არამის მდგომარეობას კნა-რისბოროუმდინ. მხოლოდ ამას ვიტყვით, რომ გზაზედ მიდიოდა, ისე რომ ამხნევებდა და ანუგეშებდა, როგორც მაგდალინას, ისე ლესტერსა.

როდესაც მივიდნენ მსაჯულთან, იმან ჩამოართვა არამს ჩვენება. თუმცა იმან უარი ჰყო გაუხმაინისგან ნაჩვენები და იმახდა, მე სრულებით არა ვრევივარ იმის სიკუდილშიო მაინც ის ჩასვეს ციხეში, სადაც მოელოდა თავისს ხვედრს.

ამ ანბავმა ძრიელ ააშფოთა ხალხი, როგორც გრასდე-ლში მცხოვრებნი, ისე იორკშირისა, ამისათჳს, რომ

ყველა იცნობდა არამს, იმის ზნეობითს ცხოვრებასა, იმის კეთილშობილურს ხასიათებს,—თჳთან ლონდონშიაც კი იცნობდნენ, როგორც ყოვლის კეთილის ღირსების შემკობილს კაცსა.

როდესაც ვალტერი გამოდიოდა კნარისბოროუთგან, რობერტის გამოქვაბულს კლდეში მთავრობამ მოახდინა გამოძიება; ჩამოართვეს ჩუენება გაუსმანს და ბებერს დე-დაკაცსა. მაშინდელის გადაწყვეტილებით უნდა დაეჭირათ არამი.

თითქმის ყველანი დარწმუნებულები იყვნენ, რომ არამს არაფრისთანა ბრალი არა ჰქონდა რა. რასაკვირველია თჳ-თან ლესტერსაც ასე ეგონა და ცდილობდა ყოვლის ღო-ნისძიებით ნუგეში მიეცა შეყვარობილის არამისათჳს. ის ყოველდღე დადიოდა არამის სანახავათ ციხეში, და ხედავ-და, რომ დღე და დღე ჭკნებოდა, ფიქრიანი ხდებოდა და ხასიეთები საკჳრველი ემატებოდა. ზოგჯერ, უყურებდა რა ლესტერს მიეცემოდა ფიქრს და თითქოს არავინ არისო ლაპარაკობდა თავისთჳს ხმა მაღლა. როდესაც მაგდალინა მივიდოდა სანახავ.თ, თითქოს ჭკუითგან შეშლილიო ელა-პარაკებოდა.

—შენ გიყვარვარ მაგდალინა? ყველაზედ მეტათ? მი-თხარი? განიმეორე მაგდალინა! ჩქარა!

და შეწუხებული მაგდალინა ასრულებდა იმის სურვილსა.

—ის კაცი, რომლის სიკჳდილსაც მწამებენ, ბიძა შენი ყოფილა? გინახავს როდისმე? ეუბნებოდა არამი. გახსოვს? გიყვარს? რა არის შენი? მაგრამ საშინელება, როდესაც მაგონდება, ეს დაწამება!... საშინელებაა! საშინელება!...

ბოლოს შესდგებოდა, ჩუმათ რაღასაც ბუტბუტებდა, თვალები უბრიალებდნენ. ეს ცვლილება, მომხდარი მშჳდობიანს კაცში ძრიელ აწუხებდა როგორც მაგდალინას ისე იმის მამას, რომელიცა ფიქრობდნენ, რასაკჳრველია ჭკუითგან შეიშლება, როდესაც ხწამებენ კაცის სიკჳდილს მერე იმ კაცისას, რომელიცა ახლოს ნათესავია, თავის საცოლოსით. როგორც ისინი, ისე სხჳანი ფიქრობდნენ, რომ მკვლელი იყო გაუსმანი, რომელმაცა განგებ მოუგონა მტრობით, რა არის ის განთავისუფლებულიყო. ამისათჳს ხშირად გაუხსენებდნენ გაუსმანს, რა არის ამით მიეცა ნუგეში და იმაზედ გადაჰქონდათ ეს დანაშაული.

—ჩჳენ ვიცნობდით ერთმანერთს,—იძახდა არამი,—მაგრამ ძრიელ გვიან შევხვდებოდით ხოლმე ერთმანერთან და დაახლოვებული ცნობა ჩჳენ სრულებით არა გვქონია. კნარისბოროუდან რა გამოვსახლდი, მას აქეთ აღარ მინახავს. მხოლოდ ერთხელ, მოვეძებნე და მომაგნო გრასდელში და მთხოვა როგორც ღარიბმა კაცმა შემწეობა მიმეცა. მივეც რაც შემეძლო; მეორეთ მოვიდა, კიდევ მთხოვა და კიდევ მივეცი შემწეობა. ბოლოს მეტის თხოვნით ისე შემაწუხა, რომ უარი უთხარი და იმის გაჯავრებული მოუგონია ჩემზედ ეს საშინელება! მემუქრებოდა! გესმით, მემუქრებოდა? მოიცა თუ რა გიყოვთ! დანიელ კლერკას სიკჳდილს დაგაბრალებო. აი საიდგან ვიცი ეს სახელი. ეს დამუქრება ძრიელ მაშინებდა, რადგანაც იმის წინდაუხედავი ხასიათები. ხანდისხან მეტის ფიქრისაგან ჭკუაზედ ვაშლებოდი. თქჳენ არ მეტყოდით ხოლმე, კალტერის უგჳრს შენი ხასიათებიო; ზოგჯერ მხიარულება, რომ მწუხარე-

ბად შეეცვლება უცებაო, მაღლა ფიქრობსო, საკვირველი ხასიათები სჭირსო. მიზეზი ეს იყო, სხუა არაფერი. მე-ტის ფიქრით მამდიოდა, მართლად რომ გამიჩირქიანოს სახელი დ~ ქვეყანაზედ შემარცხვინოს მეთქი. ეს ფიქრები არც დღე დ~ არც ღამე მასვენებდნენ, ბოლოს ეგები რო-გორმე მოვიშორო თავიდგანა მეთქი, დავუნიშნე ჯამაგირი იმ პირობით, რო გასულიყო სხჳა სახელმწიფოში, ეგე-ბის თავისუფლებით მეცხოვრა. მაგრამ საქმით სხჳა გა-მოვიდა: ხვედრმა სხჳა გჳარად მოახდინა. ის კნარესბო-როში მისულა, თავის მომაკჳდავს ქალის სანახავათ, იქ აღმოჩენილა ის როგორც ავაზაკი, როგორც კლერკის მკვლელი დ~ რა არის თავი დავასწიოვო ჩემზედ გადმოუ-ტანია. ახლა ხომ მისვლით, ის საკჳრველი ხასიათები რა-თა მჭირდა, რათა მძულდა ხალხი, ქვეყანა. არ გითხარი ჯჳარისწერის შემდეგ იქნება მოგვიხდეს აქედგან გადასახ-ლება მეთქი. რათ გითხარ ესა? კიდევ არა მჯეროდა, რომ გაუსმან მომცილდებოდა დ~ ვფიქრობდი, მე მაინც გადავ-სახლდები სხჳა სადმე სახელმწიფოშია მეთქი. ახლა ხომ სულ შეიტყე მაგდალინა! მითხარი! მითხარი! შეიტყე თუ არა?

—სულ შევიტყე, ჩემო მეგობარო!

ლესტერმა ეს ლაპარაკი გადასცა ვალტერს დ~ ეს მრი-ელ აწუხებდა უმაწჳლ კაცსა. მოუთმენლივ მოელოდა მსა-ჯულებს, დ~ სურდა არამი აღმოჩენილიყო უმანკო. ვალ-ტერ, ტანში იმღვრებოდა, როდესაც აგონდებოდა, რომ არამი თუ გამტყუვნებულიყო, რომელზედაც ეჭვი არა ჰქონდა, კანონით სიკჳდილით უნდა დასჯილიყო, რომე-

ღთასაც მრთელი იმისი სახლობა დაიტანჯებოდა. იმას თი-თქმის შეინანია, თუ რათ გამოვაჩინე ამისთანა ხაშინელი დანაშაულობაო. მაგრამ ახლა გვიან იყო.

ამ საქმეში გარეული იყო, კიდევ ერთი ვიღაც ტესრი, რომელზედაც აგრეთვე ეჭვი ჰქონდათ. იმას ყველგან და-ექებდნენ და ამ ხნის განმავლობაში არამის ხვე გვიან წყ-დებოდა. გავიდა ზამთარი, გავიდა გაზაფხული, დადგა ზაფხული და არამი მრთელი ამ დროს განმავლობაში იჯ-და ციხეში, ის შეიქნა ისევ მშჳდობიანი, დროებამ დაუ-კარგეს მწუხარება, და მოუთმენლივ მოელოდა გადაწყვე-ტილებასა, თუნდა სიკუდილით გათავებულიყო. რას არ შეეჩვევა კაცი? არამიც ისე შეეჩვია საპყრობილესა; გადაა-ვიწყდა, რომ ციხეში იჯდა, ეგონა ისევ გრასდელში ვარო დავდივარ სასეიროთ მინდორზედაო, დავტკბები მშჳენი-ერის ბუნებითაო.

ამ დროს, ის ლორდი, რომელიც გავიცანით გრასდე-ლში და რომელსაცა უნდოდა არამისათჳს ალაგის მიცემა გნარისბოროუს ახლოს ნათესავთან მოვიდა და რა შეიტყო არამის ეს გარემოება, მოვიდა ციხეში სანახავათ; როგორც ჭეშმარიტი მეგობარი და უქო ერთი ჩინებული ადვოკატი რომლის ამორჩევა ურჩივა იმის მოსარჩლეთ. არამმა არა ქნა, ჩემის თავის მოსარჩლე მე თჳთან უნდა ვიყოვო. გრაფი გაჰკვირდა, რა ნახა არამი მშჳდობიანის სახით და გულგრილად. გრაფი დარწმუნდა ამის უმანკოებაზედ და მისწერა წიგნი ერთი თავის მეგობარს:

«მე სრულებით ეჭვი არა მაქჳს, რომ ევგენი არამი არის უმანკო კაცი; მაგრამ მეშინიან, ეს ისეთი თავის

სიტყვისა არის, რომ ვაჲ თუ წაავროს საქმე, რომ ადვოკატი არა ყავს და არა სჩადის. თქჳენ ხომ იცით, ამისთანა საქმეები გამოცდილებაა საჭირო და არა სწავლა, ამას ვიტყვი, კიდევ, ორმოც და ათმა მსაჯულმა, რომ გაამტყუნოს, მაინც კიდევ მე არ დავიჯერებ, რომ ეს კაცი უმანკო არ იყოს.

გრაფი რამდენჯერმე მოვიდა არამის სანახავათ და დიდად სწუხდა იმის სვედრზედ; ვალტერს ურჩევდა არ გამოჰკიდებოდა:

— კარგათ დაბოლოვდება საქმე თუ ავათ, იძახდა ვალტერი, მე მაშინვე ანგლიითგან სხუა სახელმწიფოში გადავსახლდები, თუ სიკჳდილით გადასდება დასჯა არამს, ვეღარ დავბრუნდები ჩემს სახლობაში, თუ გაამართლებს მაინც ვერ დავბრუნდები. ან რა პირით უნდა დავბრუნდე? ერთი მხოლოდ სამვალობა ეს არის, რომ დაუტევო სამშობლო ქჳეყანა.

— მე დიდად ვწუხვარ თქჳენთჳს, ეუბნებოდა გრაფი, — ესე როგორ გამოცვლილხართ! სჩანს ძრიელ მოქმედებს თქჳენზედ ეს შემთხვევა! მაგრამ უნდა ვიმედოვნებდეთ რომ ყველა კარგათ დაბოლოვდება. მე დარწმუნებული ვარ არამის უმანკოებაზედ!... სწორეთ დარწმუნებული! სამსჯავროში გამოჩნდება, ვინც არის ნამდვილი დამნაშავე. გამართლდება არამი და იმედი მაქჳს იმისი ხასიათებისაგან, რომ მალე დაივიწყებს თქჳენგნით მიყენებულს შეურაცხებასა. ყველა კარგათ მოვა ერთის სიტყვით.

— ღმერთმა ინებოს! მიუგო ვალტერმა ოხვრით.

— თუ მართლა, აპირებდეთ ანგლიითგან გასვლასა,

უთხრა გრაფმა, მომწერევით წიგნი და იმედი მაქვს გამოგადგეთ.

მაგდალინა დღე და დღე ხმებოდა, ჭკნებოდა, ისე სწუხდა არამისათვის. ამ ტანჯვითს მდგომარეობაში იყო მრთელი რვა თვე. ისა ხმებოდა არა დღითი დღე, საათობით. შეეპარა მეტის ფიქრით სიჩლექე. თვალები მხიარული მიემქრალნენ, მრთელი ღამე ისე გავიდოდა, რომ სრულებით ძილი არ მოხდიოდა. თუ რომ გათენებისას ცოტა ჩაეძინებოდა. ეზმანებოდა ეშაფოტი, არამი, რომელიცა მიჰყავდა კანონს სასიკუდილოთ.

როდესაც გამოეღვიძებოდა, ეუბნებოდა ელეონორას:

—ოჰ, როგორი საშინელებაა! სიზმარი ვნახე, არამი გატუდა, ალვიარა თავისი დანაშაული. მეც დავიჯერე ისე შევიშალე! ოჰ, ღმერთო, ნეტავი არ დამეძინა.

ზოგჯერ მრთელი საათი იჯდა ჩუმათ, ჩაფიქრებული და როდესაც ელეონორა ეცდებოდა, ეგების გაერთო რითიმე და დაევიწყებინა, მიუგებდა მაგდალინა.

თავი დამანებე მაგდალინა! მე და ეგბენი დავდიოდით დავფრინავდით ცაზედ. როგორი მხიარულათ არის იქ ეგბენი, თამაშობს, იცინის, დახტის. აქ თავის დღეში ისე არა ყოფილა. სახე ისე უნათებს, როგორც ანგელოზსა ხმა ისეთი ნაზი აქვს, ისეთი ჟღეროვანი! მადლობა ღმერთს, ძლივს არ დავიწერეთ ჯვარი! ჩუმნი ჯვარის წერა ზეცაში მოხდა, იქ მრთელი ანგელოზების დასი დაესწრნენ! რა მიხარიან, რომ აქ არ დაგვწერეს ჯვარი! რას სჩადი? სტირი ელეონორა?

ეს, მეტის ფიქრით სიტყვების არევა სტანჯავდა ელე-

ონორასა. ეშინოდა ჭკუაზედ არ შესცდესო.

ყოველთვის, როდესაც მაგდალინა მივიდოდა არამის სანახავად, ხედავდა, მაგდალინა იცვლებოდა, ხმებოდა, სახე უყვითლდებოდა და არამი თითქოს წინათვე გრძნობდა საუკუნოთ განშორებას, ჰკოცნიდა ეხვეოდა. ამ ტანჯვით მიდიოდა დრო.

## XIII

დადგა აგვისტოს სამი რიცხვი, **1759** წელსა; დილა იყო მოწმენდილი და ტფილი. ეს იყო ის დღე რომლის დღესაც უნდა გადაწყვეტილიყო არამის სვედრი. ელეონორა რა შევიდა თავის დის ოთახში, ნახა მაგდალინა სარკის წინ მდგომარე, რომელიცა ირთვებოდა ჩინებულად.

—ელეონორა! გთხოვ დღეს ისე მორთო, როგორც ირთვები ხოლმე სადღესასწაულო დღესა. უთხრა მაგდალინამ. მიყურე მე, იმ ტანისამოსს ვიცომ, რომელიცა უნდა ჩამეცვა ჯუარის წერის ღამეს.

ელეონორა ამ სიტყვებზედ შეკრთა.

—დიახ, განაგრძო მაგდალინამ,—დღევანდელი დღე არის ჩემთვის, სადღესასწაულო დღე. ესა სთქვა პირის სახეზედ გადურბინა მხიარულებამ,—თუ რომ გაამართლებენ არამს,, არა გვმართებს დღესასწაულის გადახდა? თუ რომ გაამტყუვნეს, მეც უკან გავყვები იქ, სადაცა ერთად ჯუარს დავიწერთ! მე ვიცი.... მე ვგრძნობ; აი აქა.... სთქვა და ხელი დაიდო გულზედ, რომ დიდისხნის სიცოცხლე არა მაქვს! მაგრამ დრო არის! არ დაგვიგვიანდეს! ელეონორა, მომეხმარე ჩავიცო! მომეხმარე! ააშურე! სიბრთ-

ხილით!...

მაგდალინა ისე შვენოდა, რომ მეტი შეუძლებელი იყო ის მართლად და პატარძალსა ჰგავდა, რომელიცა ემზადე-ბოდა არა მიწიერის ქორწილისათჳს. ელეონორამ ვეღარ შეიმაგრა ცრემლი! ამ დროს შემოესმათ მამის ხმა, რო-მელიცა ეტყოდა, მზათა ხართ თუ არაო?

—შემობძანდით, მამავ,—სთქუა მაგდალინამ მშჳდო-ბიანის ხმით.

მოხუცი შევიდა და რა შეხედა თეთრად მორთულს მა-გდალინას, ამოიოხრა გულის სიღრმით.

—ჩუენ მზათა ვართ, მამავ,—სთქუა მაგდალინამ,—კარეტა ხომ მზათ არის?

მზათ არის შვილო!

—მაშ წავიდეთ ელეონორა.

მაგდალინა მოეკიდა ელეონორას და ხელი ხელს გაყრი-ლი კარებამდინ, შემდგომს მიიხედ მოიხედა, თითქოს უკანასკნელად გადაავლო თვალი და სთქუა:

—ყუელას გესალმებით აქა. ვერ შემიძლიან წავიდე აქედან, მითომ არ გეტყვით რამდენსამე სიტყუასა, თქუენ მამავ და შენ დაო! არას კეთილს არა ზოგავდით ჩემთჳს; მოყუა-რულობა გქონდათ ჩემზედ ისეთი, რომ მეტის მოთხო-ვნა ძნელი იყო; მაშ მმართებს ამ უკანასკნელს წამში შემოგძღვნათ უღრმესის გულით მადლობა. ელეონორა! შენ იყავი ჩემი ჭეშმარიტი მეგობარი, ანგელოზი მცველი ჩემის სიყმაწვილის ამხანაგი, ავათმყოფობის დროს მომ-ვლელი, ნუგეშისმცემელი, სიხარულში სიხარული და მწუხა-რებაში განუყოფელი ჩემთან მწუხარებასა!.... ახლა.... უნდა

დავშორდეთ!... მე ვიცი, რომ სწორეთ ასე იქმნება!... ინებოს ღმერთმა, შენ მაინც გაბედნიერდე. როდესაც შე-ვიყრებით ერთად, მიპასუხა, რომ ამ სოფელში გიცხოვ-რია ბედნიერად! და თქჳენ მამავ! დაუმატა მაგდალინამ და დაეცა იმის წინ მუხლებზედ,—მამამ ჴელები თვალებზედ მიიფარა,—რა მოგახსენო თქჳენ? რომელმაც უხვად და-აბნიე ჩემზედ, ჩემს გამოზრდაში ალერსი და სიყვარული! როგორ შემიძლიან გამოვსთქჳა, რასაც ვგრძნობ! როგო-რი ღირსეული მადლობა უნდა მოგახსენო? მოვა დრო, როდესაც ელეონორას შჳლები შემოგეხვევიან გარს, ნუგე-შსა გცემენ, მოგეალერსებიან, რომლისათჳსაც ვფიქრობდი მე თჳთან. მაგრამ, არა, იმედი მაქჳს მოიგონებ ხოლმე შენს მაგდალინასაც!...

—შჳლო! გულს მიკლავ მაგ სიტყვებით! გამოსთქჳა მოხუცმა ტირილით.

—დამლოცველით მამავ,—სთქჳა მაგდალინამ,—დამადე-ვით ჴელი თავზედ და დამლოცველით: და მიბძანეთ, უკეთუ ოდესმე გაწყენინეთ რამე, სიტყვით, თუ საქმით, სულგ-რძელებით მოტევება.—

—მოტევებაო! სთქჳა მწარეს ტირილით მოხუცმა და წამოაყენა შჳლი ზეზედ. აქამდინ კიდევ არ ვიცოდი, თუ აგრეთი ანგელოზი იყავი! ეცადე, შჳლო, გამხიარულდი იქნება განგებამ ისე მოახდინოს საქმე, გაამართლონ და დღეს სადამოზედ ერთად ვიყვნეთ.

—დიახ!—სთქჳა მაგდალინამ, თითქოს ამ სიტყვაზედ მართლად და მომხიარულდაო, წავიდეთ ახლაკი! ველოდნეთ, რომ თქჳენი სიტყვები გამართლდნენ.

კარეტა წყნარათ მიდიოდა ხალხის შუა, რომელნიცა მიეშურებოდნენ სამსჯავროში. როდესაც მოხუცი შევიდა თავისის ორის ქალით სამსჯავროში, ყველას ყურადღება იყო მიქცეული იმათზედ. ისინი დასხდნენ ადრევე მომზადებულს სკამებზედ. უცებ საზოგადოებაში შეიქნა ჩურჩური, ყველამ შეხედეს კარებს, საიდამაც შემოვიდა გაუსმანი, რომელიცა ალაპარაკეს ცალკე და რომელიცა გამართლდა; რადგანაც ყოველი დანაშაული გადაიტანა არამზედ ერთის მინუტის. შემდგომს სამსჯავროს წინ გამოცხადდა არამიც, მაგდალინას ცოტა არ გაწყდა გული არ შემოეყარა ამის დანახვაზედ. არამი იყო მშჳდობიანის სახით თავის ჩვეულებრივ. მხოლოდ სახეზედ აჩნდა სიგამხდრე და აჩნდა სხუა და სხუა ფიქრებს დაეტანჯნათ საპყრობილეში. შესახედაობა იმისთანა ჰქონდა იმ წამში, რომ ყოველი კაცი დარწმუნებული იყო იმის უმანკოებაზედ. ყველასი მოელოდნენ, რომ ის უეჭველად გამართლდებოდა.

საშინელი იყო გაუსმანის ნახვა. იმის სახითგან გამომეტყველებდა რაღაც მხეცური თჳსება. ყოველი კაცი უყურებდა საზიზღრად. აი ჩუენებაში რა სთქუა გაუსმანმა:

იანვრის 7, იანვრის 8, წლისა 1744-ს შუაღამისას, ის მივიდა არამთან, რომელთანაც დარჩა მრთელი საათი. შემდგომ სამის საათისა იმანა და კლერკამ გაიარეს არამის სადგომის ახლოს, რომელიცა იდგა კარებზედ. არამმა შეიწვია შინა და ისინიც შევიდნენ. კლერკას უნდოდა გათენებამდის წასულიყო სხუა სადმე ქუეყანაში თავისის ძვირფასის ქონებით, ისე, რომ არავინ ენახა. არამმა გააცილა ქალაქს. ისინი წავიდნენ სამნი. როდესაც არამი და

კლერკა მიუახლოვდნენ წმ. რობერტის გამოქუაბულს კლ-დესა, შევიდნენ შიგნით, გაუხმან შემოესმა ხმა, რომ ორ-ნი შიგნით ჩხუბობდნენ: რომ მივიდა კარებთან გაუხმა-ნი, ნახა რომ არამმა დაჰკრა თავში რაღაც და მოკლა კლერკი. ეს რომ ნახა გაუხმანმა, გამოიქცა ქალაქში და ეს ამბავი არავის არ უთხრა. მეორეს დღეს გაუხმანმა ჰკით-ხა არამსა, კლერკა რა იქნაო. იმან არა უპასუხა რა და დაემუქრა, თუ კიდევ მკითხა, იმასაც არ გაუშვებდა მო-უკლავს.

შემდგომს ერთმა ვიღაცამ სთქუა ჩუენებაში, რომ როდესაც ეძებდნენ კლერკას, არამის ბაღში იპოვნეს იმისი ტანისამოსის ნაფლეთები.

—სამსჯავროში შეიქნა სიჩუმე. ყველას გული უთრ-თოდა. შემდგომი მოწამე იყო, თჳთან მკუდრის თავის გოგრა! მარცხნივ მხარეს, გაპობილი იყო, რომელიცა შეიძლებოდა მხოლოდ მახვილით.
ჰაქიმმა მისცა ჰაზრი, რომ მოკლულის უეჭველად, თორემ ეს არ ექნებაო.

ეს იყო პირველი გასამტყუნარი არამისათჳს მუხლი.

გამტყუნება გათავდა და ჰკითხეს დამნაშავეს არამს, აბა რას იტყვი თქუენს გასამართლებლადაო?

აქამდინ არამი ჩუმათ იყო და ძირს იყურებოდა, მაგ-რამ ამ დროს იმისი სახე მომხიარულდა თითქოს, ლო-ყები გაუწითლდა და თითქოს, მოუწოდდს თავისს სიმხ-ნესაო, დაიწყო. პირველად შეხედა მოსუცს ლესტერს, შე-მდგომ თვალებზედ ხელები მიიფარა და რა ისევე მო-შორა თვალი გარდაავლო მაგდალინას. ორივეს თვალები

ერთმანერთს შეხვდნენ. მაგდალინას სახითგან გამომეტყველებდა ისეთი სიყუარული და იმედი რომ არამი მომხნევდა. გაგულადდა და დაუწყო მაღლა ლაპარაკი მსაჯულსა.

—ბატონო! მე არა ვარ დახელოვნებული სჯულის წიგნებში, არ ვიცი სამსჯავროს განოები, არა ვითარი ფორმა და ამისათჳს გთხოვ ეს იქონიოთ მხედველობაში. მე ვილაპარაკებ როგორც შემიძლიან.

«ბატონო! ჩემი სახიეთები ეწინააღმდეგებიან, მაგ თქჳენს გამტყუვნებასა! ვის შეუძლიან, ვინცა იცის ჩემი სახიათები, ჩემი ყოფაქცევა, ჩემი ზნეობა, გამამტყუნოს რაშიმე და თქჳას, რომ მიმიყვენებია ვისთჳსმე ჩემს დღეში შეურაცხებას? არა! თავის დღეში არცა ვის მამიტყუებია, არცა ვისთჳსმე მიმიყვენებია უპატიურობა. მრთელი დღე და ღამე ვყოფილვარ გართული სწავლის საგნებში, ვინ იქნება იმისთანა კაცი, რომელიცა განსხვავებული ყოფილა სხუათაგან თავისის სწავლით, თავისის იშვიათის ცხოვრებით, ჩაიდინოს ამ გვარი სამინელება. კაცი აგრე უცებ არ გაირყვნება. გარყვნილება მომდინარეობს წუნარიად. წუნარ წუნარად ვშორდებით კეთილსა.

«ბატონო! კლერკი დაიკარგა, ეგ მართალია: მაგრამ ნუ თუ ეგ არის იმის სიკუდილის დამტკიცება? აი მაგალითი: იუნისის თვეში 1757 წელსა, ვილიამ ტომსონი შუადღის გულზედ დაიკარგა საპყრობილეში, თუმცა ის საპყრობილე მაგრათ იყო დაკეტილი და ფანჯრები ჰქონდა რკინისა. აქამდისინ ვეღარაფერი ვერ შეუტყვიათრა. თუ რომ ის კაცი ისე დაიმალა, რომ სრულებით ვეღარ გაიგეს იმისი კვალი, რატომ არ შეიძლება თავისუფალი კა-

ცი უფრო არ დაიკარგოს და კვალს ვერავინ მიაგნოს.

«იპოვნეს თავის გოგრა! სადა? იქ სადაც ათასობით აწყვია კაცის ძვლები, სადაც ყოვილა აკლდამა ძველის განდაცვალებულებისა? რისთჳს მიაქციეთ ყურადღება იმ ძვლებს და არ მიაქციეთ ყურადღება იმ ძვლებს, რომელიცა იპოვნეს შუა ქალაქში.

«ბატონო, ჩემო ბატონო! ნუ თუ ყოველის ძვლებისათჳს, ვინც სად რას იპოვნის მე უნდა ვიყო პასუხის გებაში? გოგრა გაჩეხილი იყო, რომელიცა არის დამტკიცება ცხადის? ჯაქიმი ბძანებს? ძალიან კარგი. მაისის თვეში 1732 წელსა, ვილიამ არხიეპისკოპოზის გვამი გადასვენეს ერთის ალაგითგან მეორეზედ. იმას თავის გოგრა გაუსინჯავს და ნახეს გატეხილი ჰქონდა, მაგრამ ყველამ ვიცით თავისის ხნეულებით მოკჳდა.

«რაც შეეხება მოწმეს, მაგათი მოწმობა ისეთია, რომ ხრულებით არ უნდა მიაქციოთ ყურადღება. როგორ შეიძლება იმ კაცების მოწმობის მიღება, რომელნიცა სავჴო კაცნი არიან? განა არ შეიძლება თავის თავის გამოსახსნელად ჩემზედ გადმოიტანოს დანაშაული? ეს მოგახსენებთ მე თჳთან ვნახე როგორც დაარტყეს თავში და მოკლეს. თუ ნახა დავარტყი და მოვკალი, რატომ მაშინვე არ გამოაცხადა როგორც წესი და რიგი იყო. ეგ იმასის არ ვიცი შემდგომს რა იქნა კლერკიო და იჳთანვე უჩვენებია ძვლების ალაგი. ის იმასის, მე მარტო დავბრუნდი შინაო და დედაკაცი ამტკიცებს, არა ორნი ერთად მოვიდნენო ეს სადაური ჩვენებაა! თუ რომ იმასით, რამდენიმე კლერკის ტანისამოსის ნაჭრები და ნაფლეთები უპოვნიათ ჩვე-

მს ბაღში, განა არ შეეძლო ჩემ მტერს მოეტანა და გადმოეყარა.

«მოიგონეთ ეს შემთხვევაცა, რომ ერთი კაცი დაიკარგა რამდენისამე წლის წინათ, იმის გულისათჳს დატანჯეს ერთი შენ მოჰკალიო, როდესაც გაამტყუვნეს, ეშაფოტზედ თავი გააგდებინეს, რამდენიმე თჳს შემდგომს იპოვნეს ის დაკარგული კაცი. ეს საქმე იმას არ მიემსგავსება.

«და ესრეთ ბატონო! მე ვეცადე დამემტკიცებინა რაც შევიძელ. კიდევ ვიტყვი, რომ ჩემს ჩვეულებას და ხასიათებს არ შეშვენის მაგისთანა საშინელის საქმის ჩადენა. უმეტესად მაშინ, როდესაც რომ ვიყავი ძრიელ ავათ. ამასთანავე, როგორ იცით, რომ ის ძვლები სწორეთ კლერკასი იყო, არ შეიძლება დეკაცისა იყვეს ვისიმე!.. მე გსთქვი ის, რაც შემეძლო, ახლა მხოლოდ მოველი თქჳენგან მართლმსაჯულებასა.

არამი გაჩუმდა, ყოველს იქ მყოფს შებრალდა და გული შეუტკივდა; ყველა მოუთმენლივ მოელოდა იმის ხვედრის გადაწყვეტასა, და დარწმუნებულები იყვნენ, რომ უნდა გამართლებულიყო.

მხოლოდ ორნი იქ მყოფთაგანი არ იყვნენ ამ ლაპარაკით კმაყოფილი და როგორღაც ცუდად მიიღეს. პირველი იყო თჳთან მოხუცი ლესტერი, რომელიცა მოელოდა უფრო გულმტკივნეულს ლაპარაკსა, უფრო გრძნობით საუბარსა და ეგონა, რომ კლერკასთან კავშირს სრულებით არ გამოაცხადებდა: მეორე უკმაყოფილო პირი იყო თჳთან მსაჯული.

მაგდალინას უცემდა გული, როდესაც ხედავდა უნდა

გადამწყდარიყო ხვედრი? კაცისა, რომელიცა უყვარდა. როდესაც არამი დაჩუმდა, მაგდალინას მხიარულების ფერმა გადაჰკრა სახეზედ, ეგონა გამართლდა, და ელეონორას სიხარულით მაგრათ მოუჭირა ხელი.

მსაჯულებმა მოილაპარაკეს, და აღმოაჩინეს არამი სწორეთ დამნაშავეთ: იძახდნენ, ისე ლაპარაკობს, როგორც ყოველი დამნაშავე ილაპარაკებსო, გაუსმანი გაამართლეს.

. . . . . . . . . . . . . . . .

განჩინება წაუკითხეს.

არამი აღმოაჩინეს დამნაშავეთ.

არამმა მოისმინა განჩინება მშჳდობიანის სახით. შემდგომს იქ მყოფთ ყველას გადაავლო თვალი და ამ გადახედვაში ისეთი ღირსება, ისეთი პატიოსნება გამომეტყველებდა, რომ ყველას ტანში ჟრუანტელი დაასხა და სწუხდნენ უმანკო კაცის დასჯასა.

# XIV

ახლა უკეთა ვარ... უკეთა ვარ... იძახდა მაგდალინა, მხოლოდ სული მიგუბდება.

ელეონორამ კარეტის ფანჯარა ასწია და უთხრა კუჩერს ჩქარა გაერეკა ცხენები.

—რა კეთილშობილური გრძნობა გამომეტყველებდა იმის სახითგან, ეუბნებოდა მაგდალინა შენიშნე შენა.— ამის შემდეგ კიდევ გადაუწყვიტეს სიკჳდილი ეშაფოტზედ მაგრამ ერთის კვირის შემდგომ... დიახ... ერთის კვირის შემდგომს ერთად შევიყრებით.

—ჩქარა, ელეონორა, ღუთის გულისათჳს, უთხარი

ჩქარა წავიდეს კუჩერი, იმასდა ლესტერი და ხედავდა მაგდალინას მდგომარეობასა.

ისინი მიდიოდნენ გაქანებული: გამოჩნდა სახლი, მაგრამ იმათი. გრასდელის სახლიკი არა: რაღაც შეჭმუხვნილი შექურუთებული სახლი, რომელიცა მოაგონებდა კაცსა სამწუხარო მოგონებასა! მზე ჩადიოდა და უკანასკნელი მზის სხივი დაეცემოდნენ ფერწასულს მაგდალინას სახესა.

კარეტა შედგა სახლის შესავალთან. მაგდალინა გამოიტანეს რის ყოფით, მამამ და დამ. იმან შეხედა მზესა, მოწმენდილს ცასა, მწვანე მინდორს.

—არა! არა! წამოიბუტბუტა იმან! რა სტაცა ჴელი მამასა,—ეს ვისი ჴელია? იმისი ჴელი არ არის! იმასთან არა ვარ! მამავ! სთქჳა იმან და გაიმართა წელში,—აჰა ეს პაკეტი გთხოვ ჩემთან დამარხოთ ესეცა, ამაში აწყვია იმისგან მოწერილი წიგნები. ნუ გახსნით ღ̂თის გულისათჳს და უთხარით იმას... თუ როგორ.... მიყვარდა....

იმან დაიყვირა ტკივილისაგან და დაეცა პოლზედ. ის ცოცხალი იყო რამდენსამე სათსა, მაგრამ ვეღარცა ლაპარაკობდა და ვეღარც იძვრებოდა. შემდგომს რამდენისამე წამისა სრულებით გაცივდა....

მეორეს დღეს ვალტერს ნება მისცეს არამის ნახვისა: იმის წინათ ლესტერი იყო არამთან და გამოუცხადა მაგდალინას სიკ̂დილი. იმას სრულებით არ ჩამოვარდნია თვალთაგან ცრემლი, არც გამოუთქ̂ამს მწუხარება, მაგრამ ლესტერმა შეხედა და სახიდგან ჰსცნო, როგორც იტანჯებოდა არამი.

არამი და ვალტერი შეიყარნენ ერთად. ორივე ჩუმათ

იყვნენ ჯერ. ისევე ვალტერმა დაიწყო.

—ქვზენ არამ!

—ჰა?

—მაგდალინა გარდაიცვალა.

—მე შევიტყე.

—არამ! სთქჳა ვალტერმა ათრთოლებულის ხმით,—გაფიცებ ღმერთსა, გთხოვ დიდად, მომაშორე მძიმე ტვირთი ზურგითგან, რომელნიცა არც ღამე მასვენებს და არც დღე! შველის იმედი აღარ არის! განვლილი დრო აღარ დაბრუნდება! გაფიცებ ღმერთს. სწორეთ თქვი, მართლა შენ მოჰკალი მამა ჩემი?... გატყდი!... მითხარ მხოლოდ ერთი სიტყჳა... გთხოვ დიდად.

არამმა ზურგი შეაქცია და პასუხი არ მისცა... ის დედა მიწაზედ იყურებოდა.

—იფიქრე,—განაგრძო ვალტერმა,—შემიბრალე მე! მე ამომარჩია განგებამ შენის ხვედრის გადასაწყვეტად. მე დაუტევე უბედური სახლობა.... მე მოვკალი ქალი, რომელსაცა უყვარდი ერთხელ... უკეთუ ბრალი არა გაქჳს, მაშინ ჩემი ტანჯჳა ჯოჯოხეთური იქნება! სვინიდისი არ მამასვენებს! არამ! შემიბრალე ღჳთის გულისათჳს! გთხოვ! თუ რომ მართლა შენ მოჰკალი მამა ჩემი, მითხარი ერთი სიტყჳა, რომ გამოვიხსნა ჩემი თავი ტანჯვისაგან. ასლა მხოლოდ ღმერთი არის შენი მსაჯული! ღმერთი კითხულობს ყოველსავე შენს გულში! იფიქრე! უკეთესი არ იქნება გატყდე და მოაშორო შენს სულს ეს მძიმე ტვირთი. თუ მეტყვი, რომ მართალი ხარ, დაგერწმუნები და მრთელი ჩემი სიცოცხლე მაშინ დავიტანჯები. ხოლო ნუ

დამიტევებ ეჭვით! სთქვი! სთქვი! ღუ̂თის გულისათჳს!

—ვალტერ! მიუგო ბოლოს, ვალტერ!! მე მინდოდა ისე მომკუ̂დარვიყავი, რომ ჩემი საიდუმლოება არავისა-თჳს მეთქუ̂ა, მაგრამ შენ მთხოვ და არ მინდა უბედურად განვლოს შენმა ცხოვრებამ. ვივიწყებ ყოველსავე შეურაც-ხებას შენგან მოყენებულს და სწორეთ ღუ̂თის ქვეშ გეტ-ყვი, როგორც იყო. ხვალ ზეით, ჩემის სიკუ̂დილის წი-ნეთ, მოდი ჩემთან და მე შენ მოგცემ ქაღალდზედ დაწე-რილს ჩემს აღსარებასა. მხოლოდ ერთის პირობით: პირ-ველი, წაიკითხე მაშინ, როდესაც მიმცემენ სიკუ̂დილს და აღარ ვიქნები ცოცხალი; მეორე, არავის უთხრა ჩემი საი-დუმლოება იქამდინ, მინამ ლესტერი ცოცხალია. დაიფიცე, რომ ეს აღასრულო.

—ღმერთს გეფიცები, რომ წმინდად აღვასრულებ მა-გასა!... მხოლოდ მითხარ ახლა...

—ნუღარას მკითხავ! ხმა გააწყვეტინა არამმა,—დრო ახლო არის და შეიტყობ. იმ დროს მოელოდე და ახლა თავი დამანებე.

ჩუ̂ენ აღარას ვიტყვით, აღარც ლესტერის მწუხარება-ზედ და არცა ელეონორასი; ან როგორ იტანჯებოდა არა-მი, ან როგორ არ ასვენებდა სინიდისი ვალტერს.—პირ და პირ გადავიდეთ იმ დროს, როდესაც ვალტერი მივიდა არამთან, სიკუ̂დილის წინა დღეს.

—სწორეთ დანიშნულს საათზედ მოხველი. სთქუ̂ა არამმა ჟღეროვანის და ცხადის ხმით. და არ დაივიწყე, მო-ცემული სიტყუ̂აც? ამ აღსარების დაწერა ჩემი ვალი იყო, და ვასრულებ კიდეც კიდევ გაგიმეორებ, არ წაიკითხო,

იქამდინ, მინამ მკუ̂დარი არ ვიყო.

ვალტერმა განიმეორა აღთქმა და არამმა კვალად განაგრძო.

—აღერსით მოექეცი ლესტერს; ნუგეში ეცი; ნუ დაარღვევ იმ კეთილს აზრსა, რომელიცა იმას ჩემზედა აქუ̂ს! იმისათჳსა გთხოვ ამას, და არა ჩემთჳს! კეთილი მოხუცი! როგორი გულმხურვალედ უყუ̂არდი და როგორ ვაფასებდი იმისს სიყუ̂არულსა! ვინიცობაა მაგ აღსარებით, დამნაშავეთ გამომიყვანო რამიმე, გთხოვ ახლავე მომიტევო.

—სულით და გულით მომიტევებია,—მიუგო ვალტერმა.

—აგრეთვე მეცა, სთქუ̂ა არამმა გრძნობით. მშჳდობით! მშჳდობით!

ჩუ̂ენ ახლავე გადავსცემთ მკითხველებს არამის აღსარებასა:

## XV

«მე დავიბადე რამსლილის მაზრაში პატარას სოფელს ისტზერდელში. ჩემი დედმამა სცხოვრებდნენ წესიერად; მამაჩემი ერთხელ ყოფილიყო მდიდარი, მაგრამ ბევრმა აქა იქ საქმეებში გარევამ დასცა იმ დროს, როდესაც მე დავიბადე. იმას უყვარდა ბაღის კეთება და მეც იმისგან შევიყვარე ეს საგანი. სიყმაწვილითვე მიყვარდა კითხვა და ძრიელ ვეწყობოდი სწავლასა; ხასიათი მქონდა ფიქრიანი, დაღონებული და მიყვარდა განმარტოებით დგომა, ცამეტი წლისა რომ შევიქენი მეტად მიყვარდა ისტორია და პოეზია. პირველი ჩემი სწავლის საგანი იყო ბუნება: ყვავილებს, მცენარეებს, ხეებს, ყოვლის ფერს, რასაცკი ვხე-

დავდი ჩემს გარს, მიმიზიდავდნენ დიდის აღტაცებით. ყოველ დღე ვკითხულობდი ბოტანიკურს წიგნებსა, და დღე და დღე მიყუარდებოდა უფრო იმისი კითხვა. დედ-მამა დამეხოცნენ და დავრჩი ობლათა. არა მქონდა არცა ბინა, არცა ფული, მაგრამ ყოველი ვარსკვლავი, ყოველი ყვავილი იყვნენ ჩემი ნუგეშის მცემელნი. რამდე-ნიმე თვე დავდიოდი უსახლკარო, მეძინა ცის ქვეშ და ვე-რიდებოდი ხალხსა, ბოლოს მე მოველი კნარესბოროუში ბუნების სიმშვენიერე, და მრავალნი წიგნები, რომელნიცა მოიპოვებოდნენ იმ ქალაქში იყვნენ მიზეზნი რომ დავრჩი იქ კარგა ხანს და დავდევი იქ ბინა. მაგრამ, არა მქონდა ცალი ფული და ეს სიღარიბე ისე მაწუხებდა, რომ ვერა გამეკეთებინარა სასარგებლო სასწავლებლისათჳს საქმე. არ ვიცი, თუ როგორ გამოვსულვიყავი საჭიროებისაგან, განვიზრახავდი დიდების მოპოვებასა, შემეძლვნა კაცობრი-ობისათჳს კეთილი რამ, მაგრამ ვერ მივდიოდი წინ, გან-ზრახვები ამაოდ მიდიოდნენ; არა მქონდა იმდენი ღონის-ძიება რომ მეყიდნა წიგნები, ვიყავ ყოველ დღე შინა და თითქოს რაღასაც მოველოდი, თჳთანაც არ ვიცოდი რასა?

ამ დროს შევხვდი ერთს ჩემს მორეულს ნათესავს გაყ-ხმანია. ყოვლის ღონისძიებით ვერიდებოდი მე იმასა, ის კი დაეძებდა ჩემს გაცნობასა, ამისათჳს ხშირად შემხვდე-ბოდა სადმე, როდესაც სასეირო გავიდოდი. ის სიღა-რიბეში იყო დაბადებული, ჩემსავით, მაგრამ სცხოვრებდა რიგიანად. არასფერს კმაყოფილებას არ იკლებდა. ეს კი ვიცოდი კარგათ და არ მიკითხავს, თუ რითა სცხოვრობდა?

—შენ ღარიბი ხარ შენის მეცნიერებით, მეუბნებოდა

ის,—მეკი სრულებით არ ვიცი რა არის სიღარიბე და რა
არის საჭიროება. რათა? ქრისტიანა ჩემი საუნჯეა. სჯული-
სათჳს, რომ მე რომ მოვკუდე შიმშილით, მაგრამ გრძ-
ნობ რომ თჳთ მნებელობა ერევა სჯულსა.

გაუსმანი იყო ჩემთჳს, ჩემის გონებისათჳს მავნებელი
კაცი. იმის შემდგომს, როდესაც მე იმას გამოვემცნაუ-
ჟრე, ვიყავ უკმაყოფილო ჩემის სვედრისაგან, ერთის სი-
ტყვით თავსა და ბედს ვიწყევლიდი, რომ გადამეკიდა ის
კაცი.

ერთხელ როგორღაც მოხდა გამაცნო გაუსმანმა გლეჯ-
კა, რომელიცა ისის იყო მოსულიყო ჩუენს ქალაქში
პირველისავე ნახვაზედ, ვერავერ კაცად მეჩვენა ის კაცი,
ისე საზიზღრად მეჩვენა. რომ ტანში ჟრუანტელმა და-
მიარა- იმის ქცევაში ჰსჩანდა საძაგლობა, სახეზედ აჩნდა
გარყვნილების კვალი; ლაპარაკი ჰქონდა გარყვნილი. თჳ-
თანვე გატყდა და იმასდ, ჩემზედ უარესი ბედუტი ქვეყანა-
ზედ არ დაბადებულა. ჩემისთანა მოტყუება, ჩემისთანა
ცრუ მწუხარედ გამოვა სადმე. მოჰკვდებოდა და დაიწყებდა
თავის თავი გარდასავალსა, ვინ სად მოატყუა, სად რა
სთქო და სხ. და სხ.

ზიზღით უგდებდი ყურს იმის ლაპარაკსა, როდესაც
დავბრუნდი შინ, მრთელი ღამე არ მეძინა, რათ გადამე-
კიდნენ ამ გვარნი კაცნი მეთქი. მეტის ფიქრით ვეღარ
ვისვენებდი. «რა გამოდის კეთილშობილურის შრომისაგან,
სწავლისაგან, ვეუბნებოდი ჩემს თავსა, ამ შრომით, რო-
გორც ვხედავ შიმშილით უნდა მოვკუდე. აგაზაკები ყველა-
გან სცხოვრობენ, ყველგანა აქუსთ გზა გახსნილი, იმათ არ

იციან ნაკლებულება მეთქი!»

ძრიელა მძულდნენ ორნივენი, განრჩევა იმათ შორის ეს იყო! გაუსმანი იყო გაუნათლებელი, პირუტყვი, გამბედავი, თავხედი პლუტი. კლერკა იყო განათლებული, დაფარულად ხამაგელი, მამატყუებელი, მდაბლის გრძნობისა. გაუსმანს თუ ფული გააჩნდა მზათ იყო დახმარებოდა მეგობარსა, ხოლო კლერკი რაც უნდა მდიდარი ყოფილიყო კიდევ იმას ცდილობდა წაერთმივა მეგობრისათჳს, უკანასკნელი რამ თუ გააჩნდა. გაუსმანი ახალგაზდა იყო და იმედი იყო მოეშალა თავისი ქცევა; კლერკს ჭადარა თმა ჰქონდა, იმისი მოქცევა შეუძლებელი იყო.

ერთხელ შევხვდი გაუსმანს, მთვრალი იყო და დამიწყო ლანძღვა, ღარიბი რათა ხარო? ეს ძრიელ მეწყინა და თუმცა ამითი შეურაცხება მამაყენა, მაგრამ დავიმშვიდე გულის წყრომა, პასუხი არ მივეცი, მხოლოდ შემრცხვა ჩემისავე თავისა. მე დავფიქრდი და არ ვიცოდი რა მექნა მართლა, რომ სიღარიბითგან გამოვსულვიყავი. უცებ შემოვიდა გაუსმანი.

—ნუ სწუხარ არამ არამ, მითხრა იმან, ჩემგნით აიღე მაგალითი. ჩუენ ერთს მდგომარეობაშია ვართ: არც შენ და არც მე მაქჳს ჯიბეში კაპეიკი. მაგრამ აი გარჩევა რაშია: მე სამის დღის უკან ქისა სავსე მექნება ფულებით და შენ მეცნიერი კაცი, კიდევ აგრე ღარიბი იქნები. გადააგდე ეგ შენი სიბრძნე ჩემსავით.

—როგორ?

სხჳას გამართვი შენის საჭიროებისათჳს. ჩემი ცხენი, დამბაჩა და მაგარი მკლავი, აი ჩემი შეძლება. გინდა ერთად

გავიყოთ შიშიც და მოტაცებულიც.

—ამიხსენ,—უთხარი მე,—არ მესმის რას ანბობ?

გაუსმანის სახე მომხიარულდა.

—გამიგონე! სთქჳა იმან,—გლეკმა თავისი სამკჳდრო აქცია მჳრთვას ქვებად, ამას გარდა სხჳფზნისაც შეიძინა მოტყუებით, ახლა აპირებს ქალაქითგან გაქცევასა ღამით. ეს თავისი საიდუმლოება მითხრა მე და მთხოვს მეც მოვეხმარო. მე და ის, შენც ხომ იცი ძველი მეგობრები ვართ. მე და იმას ბევრჯელ გაგვიყვია შიშიც და გაქურდულიც. რასაკჳრველია ახლა მიხჳდები, რასაც გეუბნები? მოდი იმ ტჳრთისაგან გავათავისუფლოთ. ნახევარს შენ მოგცემ შრომაც ნახევრო იყოს და ნაყოფიცა.

ამ სიტყვებზედ ავენთები ცეცხლსავით, გავივლიდი და გამოვივლიდი. გაუსმანი მიხჳდა, როგორც იმოქმედეს იმისმა სიტყვებმა ჩემზედ. ბოლოს კარგათ ფიქრში შევედი. და ვამბობდი ჩემს გუნებაში, მართლად ეს რომ ასე იყოს, საუკუნოდ ლუკმას ვიშოვნი მეთქი, მაშინ მაძღარი უფრო ვიმუშავებ. ერთი ცუდი საქმის ჩადენა და საუკუნოდ დავიხსნები ნაკლულებისაგან! არც ერთს პატიოსანს კაცს შეურაცხებას არ მივაყენებ, მხოლოდ ვასწავლი იმ თოკითგან გაწყვეტილს, თუ როგორ უნდა მოიქცეს კეთილმობილურად ამ ქვეყანაში. ის არ არის შესაბრალისი კაცი. მაგრამ მაინც, რა ეს აზრი წამომიდგებოდა შევკანკალდებოდი და ვერა ვბედავდი.

—მამეცი ჴელი, მითხრა გაუსმანმა.

—არა, არა უთხარი მე და ვკარი ჴელი... უნდა ჯერ ვიფიქრო კარგათ... არც უარს გეუბნები და არც შეიძლება

მოუფიქრებლად მაგისი გაბედვა.

გაუსმანი ძალას მატანდა, მაგრამ მე გადაწყვეტით არას ვეუბნებოდი. ბოლოს გადავწყვიტეთ ისე, რომ ის უნდა მოსულიყო საღამოზედ და შეეტყო ჩემგან უკანასკნელი პასუხი.

მინამ შინ მოვიდოდი, აი რა შევიტყე გზაზედ: ერთი საწყალი გასათხოვარი ქალი, ქსოვდა თურმე ზონრებსა, გაჰქონდა ბაზარში, ჰყიდდა და იმითი ინახავდა თავისს დედ-მამასა. ხშირად შემხვდებოდა ხოლმე ეს ქალი, როდესაც დავსეირნობდი. ის იყო მშჳდი, წყნარი და მშჳე-ნიერი ქალი. კლერკმა, ორის სამის დღის წინეთ, დაუძა-ხა იმ ქალს თავისს სახლში, ზონრები უნდა ვიყიდოვო და წარხოცა უმანკოება ძალდატანებით. მშობლებმა რა ეს ამბავი შეიტყეს ამ გაუბედურებულის ქალისაგან, უნდოდათ ეჩივლათ კლერკზედ, რომელმაცა მისცა ცოტა ოდენი ფული და ამით ასცილდა ბორკილსა. ეს ამბავი მაინც მე-ზობლებმა შეიტყეს, იმდენი შეარცხვინეს ის ქალი, რომ მეტის მწუხარებით ჭკუითგან შესცდა. ეს საშინელი ამბა-ვი შევიტყე მაშინ, როდესაც ვერა ვბედავდი გაუსმანისათჳს მიმეცა პასუხი.

გაუსმან მოვიდა დანიშნულს დროზედ, ხმა არ გავე და და ჩუმათ გაუმჯრე კელი. გამოჩნდა, რომ კლერკა, რომე-ლსაცა დაეძებდა შეურაცხ ქმნილი ხალხი, იმ ღამესვე გა-ქცეულიყო. გაუსმანს კლერკასათჳს მიეცა პირობა, ქალა-ქითგან ორ ვერსზედ დაგისვდები ეკიპაჟითაო, იმაში ჩა-ჯექი და თავს უშველეო. ამ შრომაში უნდა მიეცა კლერკას ნახევარი იმ ძვირფასის ქვებითგან. გაუსმანმა მითხრა, შე-

ნც წამოდი და ერთად გავაცილოთო.

ისეთს მდგომარეობაში ვიყავ მაშინ, რომ არ ვიცოდი რა მექნა. გული შემიღონდა მეტის ფიქრით და გამოველ ქუჩაში, მრავალჯერ გავიარე და გამოვიარე. ეს დრო იყო ღამე. ამ დროს, თორმეტი საათი იქნებოდა, ვნახე გაუ-სმანი და კლერკა მოდიოდნენ ჩემკენ.

—ერთს მინუტს ნება მოგვეცი შემოვიდეთ შენთან, მითხრა გაუსმანმა. აქ ყარაული დგას, და არ მინდა გვნა-ხოს

იძულებით გაუღევი კარი და შევიყვანე ოთახში. კლერ-კამ დაიწყო ლაპარაკი, როგორც უნდა გაქცეულიყო იმ ღამეს, ამისათჳს, რომ მძჳრფასი ქვები დაეტყუვნა სხვისა-თჳს და დაუმატა თუ როგორი შეურაცხება მიაყენა გასა-თხოვარს უმანკო ქალსა. ანბობდა და თან იკვეხოდა ამას ისეთის უსინდისო სიტყვებით ლაპარაკობდა, რომ სის-ხლი თავში მეტაკა. ისინი იყვნენ ერთს საათს ჩემთან და შემდგომ გაუსმანმა მთხოვა კლერკი გაგვეცილებინა. ეს კლერკმაც მთხოვა. უარი ვერ უთხარი და სამნივე ერთად გავედით შინათგან. დანარჩენი?.... რა საჭიროა ვთქვა?... არ შემიძლიან.... ოჰ, ოჰ, ღმერთო!... არა, არ შემიძლი-ან... სამსჯავროში, გაუსმანმა სიცრუით ილაპარაკა. მეკი არ დამიცია მახჳლი! მე არაოდეს არ გამიზრახავს სიკჳ-დილი! ესეც საკმაო იყო, რომ ქურდობა განვიზრახე, საზოგადოდ სარგებლობისათჳს! ესეც სუბუქი დანაშაულე-ბა არ არის! კლერკი დაეცა... იმან დამიჭირა მე ხელი, რომლითაც ავწიე, იმისათჳს კი არა, რომ დამერტყა რამ, ამისათჳს რომ დამეცჳა წყეულის გაუსმანისაგან! ეს ხელი

იყო მარჯჳენა და მას აქეთ მარჯჳენა კელი არავისათჳს ჩამომირთმევია ნიშნად მეგობრობისა. მაგრამ დანაშაულება შესრულდა, დაკუსწარი კვლაში, მაშასადამე, მონაწილე ვიყავი!

გაუსმანმა გაჭყო წართმეული ქჳებბი; ჩემი წილი დამარხა მიწაში, იმ პირობით, რომ როდესაც მსურებოდა ამომეღო, ის იქნება ახლაც იქ არის დამარხული. სამის დღის შემდეგ მამიკჳდა დედიდა, რომელიცა თავის სიცოცხლეში სრულებით არ მეწეოდა, და სიკჳდილის დროსაც მაგდენი არა მიანდერძა რა, — თუ ეანდერძა რამ, იმ ქჳებზედ მეტი ქონება იქნებოდა. ამ ამბავმა, მეხსავით იმოქმედა ჩემზედ. თუ რომ სამი დღე კიდევ მამეცადანა! თუ რომ ჩემს გულს ეთქჳა ჩემთჳს. «ბევრი მოგითმენია, ცოტა კიდევ მოითმინეო.» ეს არ დამემართებოდა.

გლერკი ჩაიყლაპა, და ამ ცნობამ ააყაყანა ქალაქი. ზოგი ერთის მიზეზებით ეჭვი შემოიტანეს ჩემზედ და გაუსმანზედ. ჩჳენ ჩჳენება ჩამოგვართვეს სუბუქათ და არაფრით გათავდა. ჩჳენ ვიცოდით, რომ სისხლის პატრონი დედაკაცი ჩჳენში ეჭვში იყო. გაუსმან ემუქრებოდა სიკჳდილით, თუ იტყოდა რასმეს. შემდგომს კნარებორო-ულდგან წავიდა გაუსმანი და მეც მივიღე რა ცოტაოდენი სამკჳდრო, გავწიე ფეხით შოტლანდიაში. შემიყჳარდა მოგზაურობა და დიდხანს ვმოგზაურობდი: ვნახე ბევრი ქვეყნები: ბევრი ხალხი, მაგრამ ვერსად ვერ ვისვენებდი. ყველგან დამდევდა ეს საშინელი საიდუმლოება. მეშინოდა, ბოლოს არ გამოჩნდეს მეთქი და აზრი მტანჯავდა მეტის მეტად. შემომძულდა ქვეყანა, საზოგადოება, შევეხვიე განმა-

რტოებას, ისე მეჯავრებოდა ეს სოფელი.

ბოლოს მოველი გრასდელში, აღტაცებაში მოველი იმის ბუნებისაგან და გადავწყვიტე სიკჳდილამდინ იქ დგომა. აქ შევხვდი მაგდალინას.... დანარჩენი ვალტერ თქჳენ იცით..

სამსჯავროში არა ვთქჳ სწორეთ. ერთი რომ ვყოფილ-ვიყავი, მაგდალინა და ლესტერი თუ არ ყოფილიყვნენ ჩემთჳს ის, რანიც იყვნენ, მაშინ სახალხოდ გამოვიყვანდი რომ უბრალო ვიყავი მაგ საქმეში, გაუსმანს ვათქმევინებ-დი. რომ თჳთან იმან მოკლა.... მაგრამ... სიკჳდილში რომ გავმართლებულვიყავი, უნდა ქურდად გამოვსულვიყავი, და ეს ისე გულში მოხვდებოდა მაგდალინას და ლესტერს, რომ უსაშინელესება იქნებოდა უფრო ჩემთჳს. ისეთი უმა-ნკო მეგონე, როგორც თჳთან არიან, რა იქნებოდა მაშინ ეს რომ შეეჩნიათ ჩემთჳს! სიმართლე არა ვთქვი, ჩემთჳს კი არა, მაგდალინასთჳს და ლესტერის გულისათჳს, მაგ-დალინა მოკჳდა დარწმუნებული, რომ მე უმანკო ვიყავი. ლესტერიც ამ დარწმუნებით მოკჳდება, თუ არ გამეცით. რასაცა ახლა გრძნობს ჩემი გული, ეგ საიდუმლოთ დარ-ჩება ყოველთათჳს.

ქებენი არამი.

აგვისტოს თვეში 1759 წ.

როდესაც სასიკჳდილოდ დანიშნულს დღეს შევიდნენ არამთან, ის ნახევ იწვა ქვეშაგებში. როდესაც უნდოდათ შეეხსნათ ბორკილი, ის არ იძვროდა და არც ლაპარაკობდა: წამოუწიეს თავი და მაშინ დაიწყო სუსტის ხმით რილა-ხიც ლაპარაკი. შენიშნეს, რომ ის სრულებით სისხლში იყო. იმას გაეხსნა მაჯებთან ძარღვები პატარას დანით,

რომელიცა ჩუმათ შეენახა ადრევე. იმ საათში გაგზავნეს ჯაქიმთან, რომლის შემწეობით ცოტათი გონს მოეგო. ის მიიტანეს სასიკჳდილო დანიშნჳლს მოედანზედ, იქ ცოტა ხანს გონს მოეგო, გადავლო ოთხ კუთხივ თვალი, ის მძიმედ სუნთქავდა. ყოველი ფერი მზათ იყო სასიკჳდი-ლო, უცებ დამნაშავე უკან შედგა. ყველა ფიქრობდა, რომ შეეშინდა სიკჳდილისაგან. მღჳდელმა აღსარება ათქმევი-ნა... ხალხში სიჩუმე ჩამოვარდა... არამი თითქოს თავის თავს ესალმებოდა... უცებ უკან მიიხედა და ცხადმა ღიმი-ლმა გადურბინა სახეზედ, სრულმა უმანკოებამ გაუელვა პირზედ. ამ ღიმილთან განუტევა სული. სჯულმა მიაყენა უკანასკნელი შეურაცხება, უსულოს სხეულს!... თავი გა-დებინეს ეშაფოტზედ!....

# XVI

ამ შემთხვევის რამდენისამე წლის შემდგომს, მაისის მშჳენიერს დღეებში, მოდიოდა ცხენით ახალგაზდა ყმაწჳ-ლი კაცი გრასდელში. ის იყო დაფიქრებული და მწუხარე ტანისამოსი ეცვა სრჳა სასელმწიფოსი.

ის შედგა სპოტენდოგის სასტუმროს წინ, საიდამაც გამოვიდა პიტერ დილტრი. ისევ ისეთი იყო პიტერ, რო-გორიც იყო ადრე. ყმაწჳლმა კაცმა შეხედა იმას, მაგრამ რა ნახა პიტერი ჩხრეკდა თავიდან ფეხამდინ, შეჯდა ისევ ცხენზედ, შემოჰკრა დეზი და გასწივა კაპრალის სახლისკენ კაპრალი იდგა, იღლიაში მიცემულის ჯოხებით და ეწეოდა ჩიბუხსა. იმის წინ ესკუპა დიდი კატა. საწყალი ჯაკობინა. ეს ის კატა არ იყო! სიკჳდილი არავის ინდობს, არც დაენდო ჯაკობინა მაგრამ იმისი შთამომავლობანიკი დარჩომილ იყვნენ.

რა კაპრალმა შეიტყო ცხენის ფეხის ხმა, შეხედა და დიდხანს უყურა ყმაწვილს კაცსა.

—ჩინებული ყმაწვილკაცია! ეტყობა ქჳეყნები ბევრი უნახავს, ბუტბუტებდა კაპრალი.

ყმაწვილი კაცი შევიდა ფიქრში. იმის იქ არ მყოფობაში დიდი ცვლილება მომხდარიყო. ხეები დაზდილიყვნენ. ბევრი სახლი დანგრეულ-დაქცეულ იყო. ზოგი ახალი გაკეთებულ-იყო. მხოლოდ წყალი ისევე ისე მომდინარეობდა და იმისმა ხმამ ბევრი რამ მოაგონა სიყმაწვილისა.

ბოლოს მივიდა ძველს საბატონო სახლთან. ბაღი გატყევებულიყო, კარებები სახლისა სულ ერთიან დაკეტილი იყო. ალაყაფის კარებზედ ეკრა ფიცარი, ეს სახლი ისყიდებაო. ყმაწვილმა კაცმა გულის სიღრმით ამოიოხრა, შემდგომს დაიარა სახლები, ეზოში შეხედა ბებერი დედაკაცი მცველი ამ სახლისა, ამას ეგონა ეს ყმაწვილი კაცი ამ სახლის მყიდველი და დაატარა სრულებით სახლი. ის იყო აღრეული, როდესაც შევიდა სასტუმროში, სადაც ბევრი სიამოვნება ენახა, დაეშო კრესლაზედ, ჴელე-ბი მიიფარა თვალებზედ, და ცრემლი მოადგა თვალებში. დედაკაცს უკჳრდა ეს ამბავი.

—თქჳენ უთუოდ იცნობდით ამ სახლობას, ბატონო?

მოგზაურმა არა მიუგორა და თავისთჳს წაიბუტბუტა:

—არა! არ შემიძლიან აქ დგომა! უნდა გაიყიდოს. მეტი გზა არ არის.

ის გამოვიდა სახლითგან, გაიარა ბაღში და გავიდა სასაფლაოზედ. აქ აგრეთვე მეფობდა სიჩუმე, როგორც რამდენსამე წლის წინეთ: ერთს ალაგს, საჩინო ფიცარი იყო

ამართული, რომელზედაც ეწერა:

როლანდ ლესტერი,

გარდაიცვალა 1760 წელსა, 64 წლისა.

ნეტარ არიან მგლოვარენი, რამეთუ ნუგეშინის-ცემულ იქმნენ.

ახალგაზდა მოგზაური დიდხანს შეჰყურებდა იმ ძეგლსა და როდესაც გამობრუნდა თვალები დაწითლებულები ჰქონდა. მკითხველი მიხჳდა, რომ ეს იყო ვალტერი!..

საჭირო არის ვსთქჳათ რამ ზოგი ერთი ჩჳენი მოთხრობის პირზედ:

გაუხმანი, თუმცა დასჯას ასცილდა, მაგრამ თავისის ცხოვრებით საკმაოდ დასჯილი იყო. ის ცხოვრობდა საშინელს სიღარიბეში და ყველასა სძულდა. თუმცა ის მოკჳდა თავისის სიკჳდილით, მაგრამ დამარხეს ღამე, რა არის არ ჩააქვაონო, ისეთი ცუდი სახელი ჰქონდა.

კაპრალმა სიბერის დროს ცოლი შეირთო, ახალგაზდა ქალი, რომელმაცა მალე ულალატა ბონტიგს და შეიყვარა თავისი მეზობელი.

ბებერი დედაკაცი დარჯმანსი, იპოვნეს მკჳდარი, სადღაც მინდორში.

ვალტერმა გაყიდა ლესტერის სახლ კარი და თავის ქორწილის შემდგომ, წაიყვანა ელეონორა და წავიდა სხჳა სამეფოში. მხოლოდ ზოგჯერ მაგდალინას მოგონება სტანჯავდა იმათ, მაგრამ როდესაც ლოცვას დაატანდნენ; ძალას, მაშინ ამ ლოცვაში ჰპოებდნენ ნუგეშსა.—

# ფანტაზია.

სხივნი მთისანი ოხუთის მთებს ზე დაჰსდგომოდენ;
ჰკრთოდენ, ბრწყინავდენ, ხან დროებსად სახეს იცვლიდენ;
თითქო მოხუცთა, თეთრ-თმიანთა აგვირგვინებდენ,
ვით საყვარელსა, მათ შეტრფოდენ და ჰსთავაზობდენ!...
მაგრამ სადაა უნაკლულოდ სიამოვნება,
რომ მათ ჰქონოდათ აუმღვრეველივ ამ გვარი შვება;
ამისთჳს, ორთა, და თუ ცხოველთ, მონავარდეთა
ჰაერში ბრუნვით და ძირს ხლტომით მისცეს ცვლილება!
ერთს დროს მეც შემხვდა ფეხის დადგმა მის მაღალ
მთაზედ,
არ დავიმდურე ღუაწლი ჩემი და ტანჯვა გზაზედ
თუმცა რომ ვნახე ღვაწლი დიდი დაღალვით გზაზედ,
იქ მოგზაური ჰსცურავს ოფლში ხრასნილს ბილიკზედ-
გული უსქდება, სული ჰწუხს კლდეთა ნაპრალზედ!...
ის იყო რომელ დღის მნათობი დაემშჳდობოდა;
მისგან ღრუბელი ლაჟვარდის ფრად შეიცჳლებოდა,
მყისით სხჳა ფერიც ათასებრივ გამოჰკრთებოდა,
და ტახტიაო მეხთა მსროლის, იფიქრებოდა!...

მქრალადღა ჰსჩანდენ იგი სხივნი მთისა წუერებზედ,
ვით საყვარელსა ფერი ჰსდოდათ გამოთხოვაზედ,
თითქო არ აქუსთო მოლოდინი ახლოს შეყრაზედ
ეგრეთ ნაღვლობდენ, მჭმუნვარებდენ განშორებაზედ!...
ამ დროს მას მთაზედ და სევნარში იყო დუმილი;
მაგრამ ჟამითად მას შეჰსძრავდა მწყემსთა ყივილი;
ხან ხმაურობა ცხვართა, მძოვნელთ ფრინველთ ჟღივილი,
და ხან ნაკადულთ, კლდიდგან, ვარდნილთ მაღლა ყვირილი!..
მითხრეს აქ არსო ადგილი ის, ყორნისად თქმული,
სად ბედ კრულობით პატიმრად არს კაცი გრძნეული;
მართლათ რომ ჰსჩანდა ქუაბი რამე გამოკვეთილი,
და მას მივმართე სისწრაფითა, ღამე ვგლე ბნელი!...
გარიჟრაჟზედა ძლივს მეღირსა მას ქუაბში შესვლა
სად შიგნი შიგან მოვიარე, დავსჩხრიკე ყველა;
მე იქ ვერ ვნახე სულდგმული რამ, მით გულ მენაღულა,
და რომ ვჰსთქვი გავალ, უცებ ყურთა მომესმა ხველა!...
მოვბრუნდი ვნახე კარი მომცრო გამოკვეთილი,
ყური მიუგდე, მესმა ოხვრა აღტყინებული;
გულის კალკალით მიველ ახლო თმებ აწეწილი
და შიგნით შეველ მუხლთ მოკვეთით, ფერ მილებული!...
ოჰ რაც იქ ვნახე, როგორ მოსთქუა, ანუ რას სახით;
მე წამომიდგა მოხუცი რამ თეთრის თქმა წვერით,
თუმცა სიშიშვლეს იფარვიდა დიდისა კრძალვით,
მაგრამ მის ხელთა მოგრძო ფრჩხილნი არ იყვნენ მალვით?..
ხმა შეცვლით ვკითხე ვინ ბძანდებით ბერო მოხუცო.

ივანე ბერიძე.

# გ ა მ ო ს ა დ ე გ ი.

ოდეს სასტიკი ჰქრის, მძაფრი ქარი,
მაშინ ჰკამს, თუ-ა, მის-თჳს საფარი,
თჳარა უქაროდ სული—უქმი არი,
გინდ სული არ იყოს, გინდ ქჳა მაგარი.—
როს საჭირო-ა რამ—მოსახმარი,
მაშინ არს იგი საქონ-სახმარი:
თუ-კი არა ჰსთხრი, რათ მინდა ბარი?
თუ-კი არ უკრავ, რათ მინდა ქნარი?!
რად მინდა ცოდნა, თუ მაქჳს უხმარი,
ხეყრმის შრომით ძნელ-მონაგვარი?
თუ, სიტკბოს ნაცჳლად, ვარ განმამწარი,
თავის-უფლობი, ნება უმყარი,
მოუთმინები. გაუმაძღარი,
ფიცხლად—მფეთქელი, დრკუ და მმუქარი.
რას ვხედავ სწორედ—ნამდვილ-რაც არი,
რად ვარ იმისი მე გარეწარი?
ვინც არის მართლის ცნობის მიმხჳდარი,
ჭეშმარიტს გზაზედ სწორედ დამდგარი,
ის არ ფიცხდება—არს მარად წყნარი,
(წმიდის სიცოცხლით გრძნობა გამთბარი)
გონებით მსჯელი, გულით დამტკბარი!—

მზცეჭაბთელი.

კ იანვ. ჩყჲვ წ.
ს. ქარჩნაზი.

# ქარის წისქვილი.

ვაჲ შენი ბრალი ქარის წისქვილო,
რა გეშველება მეტად მსუბუქსა;
როდემდის უნდა შენ იღინღილო
და ვერ ეღირსო შენ მზისა შუქსა!
სულ ქარი უნდა გატრიალებდეს,
ვაჲ შენი ბრალი თუ მოგაკლდება,
მსუბუქს არსებას ვინ გაგანძრევდეს
ჰგონებ რომ მინდი შამოგაკლდება!
თუ ქარი დაგბერს ჰოო კარგათ ჰფქვავ—
და თუ მოგაკლდა გდიხარ უვარგი;
ეგ შენი ყოფა აბა რასსა ჰგავ,
რომ არ გამოსჩნდე ისარი კარგი!
ერთხელ დაგქროლავს შენ ქარიშხალი,
სრულად დაგლეწავს, სრულებ დაგამსხვრევს,
ღელვისა ძალა მოსჩანს ახალი
შენ ვით გაუძლებ ერთობ დაგამტვრევს!
ვინ გეყოლება მაშინ მომშველი,
შემოგაშველოს თუნდ წუთსა ჴელი;
ოდეს დაგძახონ ხარ უსაფუძვლო—
ამდენს ტანჯვასა შენ ვით გაუძლო?
ვინ შეგიწყალებს, გეტყვის შენ ყველა,
ქარს ემსხვერპლები, ემუდარები,
იქნება ჰპოვო მცირედი შვება—
თუ სალსა კლდესა მოეფარები!...

დიმ. ბერიევი.

1864 წელსა. ქ. ტფილისი.

## ჩ.... თ....!

ვჰგრძნობ შენს ტკივილს ვითა მეცა,
რამ მღირღნიდეს გულს-თირკმელსა;
მარამ ღმერთი ზენა-ზეცა —
გარდაგარჩენს განსაცდელსა!
როს ვერ ჰპოვე შენ მკურნალი,
გამოეცნა შენი ბედი,
ნუ იქმნები მოტირალი —
ოდეს გწყალობს შემოქმედი!
შენთან ვჰკვნესი, შენებრ ოხვრით,
მეცა გულსა განვიბზარავ, —
პირჯვარს ვიწერ ჩუმის მოთქმით —
ფიქრებს ამით განვიგარავ!
მეცა შენთან, შამოგფიცავ —
ბედსა ვსწყევლი, ვიტანჯები;
მარამ ეს ღონე დამიცავ
და შენც ამას გევედრები:
შეიმოსე მოთმინება,
ადიდე ღმერთი მაღალი,
იყოს მისი წმიდა ნება —
მოთმენა არს ჩჳენი ვალი!
არ მეგონა თუ მართალი —
დაისჯება ქჳეყანაზე;
არ ეღირსოს სამართალი —
რაც-უნდ ვლიდეს სწორე გზაზე;
მარამ ოდეს დაწერილა

შავის მელნით დაფერილა,
თუმც—იციან ხარ მართალი
ემძიმებათ სამართალი!
  მაინც ბევრია იმედი,
აწ მსაჯულთა ნიჭით ვხედავთ
ქსეც არის ჩუენი ბედი
სიტყვას მაინც გაუბედავთ!
  ძუელის კალმით კუალად წერა,
ახალმა დრომ შეაყენა,
თუნდ ლახვარი გულს მაძგერონ
ახლის კალმითკი დასწერონ!...

დიმ. ბერიევი.

1864 წელსა. ქ. ტფილისი.

# საჭიროა ამ ჟამად თხზულებანი იწერებოდენ ქართულს ენაზედ თუ არა?

რაცა ვისა ბედმა მისცეს დასჯერდეს და მას უბნობდეს,
მუშა მიწყივ მუშაკობდეს, მეომარი გულოვნობდეს.

რუსთაველი.

მაგრამ იქნება ვინმემ სთქვას: რომ ის ქართველები, რომელნიც ევროპიულს ენაზედ სწერენ თხზულებას ძრიელ დიდი სწავლულნი და სპეციალისტები უნდა იყვნენო, რომ იმათ ღრმა მეცნიერებას ჩვენი უსწავლელი ხალხი ვერ გაიგებსო, და ამ მიზეზისაგამო ისინი იმ ენაზედ სწერენ. თქვენ არ მომიკვდეთ, რომ ეს ასე, არ იყოს! საიდამ გ.მოვლენ ჩვენში ისეთი ღრმად განათლებული სპეციალისტები, რომ ჯერ რუსებს არა ჰყავთ ისეთი კაცები, თუმცა ისინი თავის ყმაწვილებს თავის სამშობლო ენაზედ ასწავლიან; ჩვენ კი ამასაც მოკლებულნი ვართ. ჩვენის უმეცრების მოწყალებითა. ესლა ბევრი მგონები ვიცი, რომ ქართველები ქართულ ენაზედ არა სწავლობენ და რაღა მე ყველამ ვიცით. და ამისათვისაც ქართველები სწავლით ყოჩაღები და სპეციალისტები გამოდიან. საიდამ

გამოვლენ ყოჩალები და სპეციალისტები რომ მო-ვლენ სკოლაში თუ არა, მაშინვე ევროპიულ ენაზედ და-იწყებენ წიგნის სწავლასა. ყმაწჳლს უცხო ენა არ ეყურება, მაგრამ ასწავლიანკი; თუმცა ამას სწავლა არა ჰქჳან. რა სწავლა ისა, რომ ყმაწჳლი კითხულობს და არკი ეყურება. სწავლა ცოდნას ჰქვიან. ჩუჱნ ქართველი ყმაწვილების სწავლა და ცოდნა მაშინ დაიწყება, როდესაც ისინი რუსუ-ლს ენას ისწავლიან იმდენათ, რომ ამ ენაზედ წაკითხუ-ლი წიგნი გაიგოს. მაშასადამე ჩუჱნების განათლება შკო-ლაში მიყვანის დღიდამ არ დაიწყება. გავა სამი-ოთხი წელიწადი ყმაწვილი სწავლობს, მაგრამ არაფერიკი არ ეყუ-რება იმ სწავლისა, რადგან ჯერ რუსულ ენასა სწავლობს და ვიდრე ისწავლიდეს, იმისი გული ცივდება სწავლაზედ. ამისთჳს ისწავლის, თუ არა უცხო ენაზეთ ლაპარაკსა, ცოტა წერა კითხვასა, მაშინვე ყმაწჳლი გაიტარებს გულში იმ აზრსა, რომ იმან საკმაოთ ისწავლა რუსული ენა, გა-ნათლდა, გულს აიყრის სწავლაზედ, გაერთობა საზოგა-დოებაში, დაიწყებს აქეთ იქით სეტებასა, შტვენასა, და თან გულის დაჯერებით ფიქრობს, რომ ის ეხლა განათლე-ბულა, მეტადრე თუ რომ ცოტათი სხაპა სხუპითაც ლა-პარაკობს რუსულს ენაზედ და ნაცნობებშიც აქებენ. აიდე ბიჭო! ეშველა ჩუჱნ საქართველოს! სწავლა საიდამაც უნდა დაწყებულ იყო, ისინი აქ იმას ანებებენ თავსა!— ეს აძლევს მრავალსა მიზეზს, სთქვან, რომ ქართველებს ნიჭი არა აქჳთ განათლებისაო. უფალ მამაცაშჳლს სურ-და გამოეხსნა ქართველები ამ განკიცხვისა და უნიჭებისაგან თავის რუსულს ენაზედ დაწერილ სტატიითა, რომელიც,

იყო დაბეჭდილი გაზეთში «კავკაზში,» ვგონებ 1862 წლისა ერთს ნოემბერში, მაგრამ ტყუილათ ჩაიარა იმათმა ლაპარაკმა. ვიდრემდი ჩუენში ამ ნაირი სწავლა არის, ვერავინ გამოვა ვერც სპეციალისტი, და ვერც ჩუენ დაუმლით არავის ხთქვან, რომ ჩუენ ღრმათ განათლების ნიჭი არა გვაქვს, და შეგვიძლიან განათლება, როგორც ზოგი ერთს აღმოსავლეთის ხალხსა, რამდენათმე ისინი ყოველთჳს დაგვიმტკიცებენ რომელსამე ფაკტსა საფუძველზედ, რომ ჩუენ მეტათ განათლება არ შეგვიძლიან. საფუძველია, მაშ რა არის. ეს სამოც და სამი წელიწადია, რაც ჩუენ რუსების მფარველობის ქვეშ ვართ, მტერი აღარ გვაწუხებს, მაგრამ ჩუენში არაფერი ცვლილება არ მოუხდენია განათლებასა. არამცთუ ცვლილება—ვერცკი გავგიგია, არის სადმე განათლება, თუ არა, საჭმელია ის რაღაც განათლება, თუ სასმელი. განათლება ჯერ ძრიელ შორს არის ჩუენ ცხოვრებაზედ. ის კაცები, რომელთაც არა სარგებლობის მოტანა არ შეუძლიანთ უცხო ხალხისათჳს, მაგრამკი სწერენ იმის ენაზედ—ეს კაცები უნდა იყვნენ ზნეობითად შეცვლილნი და არა დიდათ განათლებულნი და სპეციალისტები; ის კაცები, რომელნიც სხუათა ენაზედ ცდილობენ სწერონ თხზულება, მაგრამ იმათ საუბედუროთ ვერც იმათთჳს, ვერც თავის ხალხისათჳს, მოუტანიათ სარგებლობა. ესე იგი უსარგებლონი არიან რუსებისათჳსაც და ჩუენთჳსაც; მაგრამ მაინც კიდევ ცდილობენ, რომ რუსულს ენაზედ ჩხაპონ თხზულებანი. არ ვიცი, ვინ უნდა გააკვირვონ ამათ თავიანთ თხზულებითა რუსებზედ ყოჩაღი სწავლით ქართველი, გინდ რომ ნი-

ჭირიც იყოს იმათზედ, ვერ გამოვა, როგორც ზევით სთქვით, ვიდრემდის თავის ენაზედ არ მიიღებს განათლებასა, მაშასადამე ვერც გააკვირვებენ და ვერც სარგებლობას მოუტანენ იმათ. ამ ნაირათ ვერ მოუტანენ, რომ რუსი ყოველთვის ირჩევს რუსის დაწერილი თხზულება წარიკითხოს, ვიდრე ქართველისა. არ წაიკითხვენ პირველათ იმისთვის, რომ რუსი ქართველზედ კარგა დასწერს თავის ენაზედ თხზულებას; მეორეთ ამისთვის რომ თავის ენაზედ იღებენ ისინი განათლებასა რასაკვირველია, რომ შეემთხვევა იყოს, ქართველი ჰსჯობდეს რუსსა; მაგრამ იშვიათათკი. ამისაგამო ამათი თხზულებანი დარჩებიან წაუკითხავნი და უსარგებლონიცა, და თუ არა წაიკითხვენ, ეს ხომ ნამდვილია, რომ არც სარგებლობა ექნება რუსებისათვის. ქართველებისათვის კიდე უსარგებლონი რჩებიან იმისთვის, რომ ვერაფერს ნაყოფებენ ქართულს ენაზედ. მაშასადამე ისინი არიან ისეთი კაცები, რომელთაც არ დაურქმევიათ არც რუსი და არც ქართველი. ნუთუ ბუნებითი შეცვლა არის მართლაც მიზეზი. რომ ზოგი ერთი ქართველი, უცხო ენაზედ, სწერს თხზულებასა? მკითხავს ჩემი განცვიფრებული მკითხველი. ჩემო ძმაო, გასაკჳრი აქ არაფერი არ არის. მეცნიერებისაგან დამტკიცებულია ეს ჰაზრი, მაშასადამე თუ მეცნიერებამ ამ ნაირი დასკვნან გამოიყვანა, ჩვენ რა ნება გვაქვს, რომ არ მოვიღოთ ეს შედეგი. ჩვენი სასიქადულო რუსთაველი მიჰხვდა, რომ ნაბუმრული მდგომარეობა ძრიელ ცუდი არის, და ამისთვის კიდევაც გაბედვით გამოსთქვა:

რაცა ვისა ბედმან მისცეს დასჯერდეს და მას უბნობდეს,
მუშა მიწყივ მუშაკობდეს, მეომარი გულოვნობდეს.

იქნება ვინმემ სთქვას, რომ რა ცუდი საქმეაო, რომ კაცი ისე მოიქცესო — «არც შამფური დაიწვეს და არც წვადიო.» ეს მართალია, მაგრამ ეს იმით არის ცუდი, რომ ამ მდგომარეობაში ისინი არც აქეთ არიან და არც იქით, რომ ვშიშობ მე, ვაითუ იმ საწყლებს ისე დაემართოთ მეთქი, როგორც კრილოვის ყვავსა. ყვავის ამბავი იმაში მდგომარეობს, რომ იმან ფრთები თავისი დაიძრო კუდიდამ და მის მაგიერათ ფარშავანგისა გაიკეთა. შემდეგ ამ ნაირი შემოსვისა იმან ამაყად ჩაისეირნა ფარშავანგებთან თავის გასართობლათა და თანაც ჰფიქრობს, რომ იმას ეხლა ყველა ნათესავიც და მეგობარიც გაოცებით შეჰხვედვენ, რადგან ის ფარშავანგების და გამხდარა და დრო მოუვიდა დაამშვენოს იუნონის სასახლე. მაგრამ იცით იმის ფერის ცვალების ნაყოფი რა იყო? ის რომ ფარშავანგებმა დაიჭირეს ისე გაპტყვნეს, რომ თითქმის თავისიცკი არაფერი შეარჩინეს, არამცთუ სხვისა შეერჩინათ, და ჩვენი ყვავი სტომ-სტომ ძლივს განშორდა იმათ, და მივიდა თავისიანებთან, მაგრამ იმის საუბედუროთ, როდესაც ის მოვიდა ნაცემ პატყვეში თავისიანებმაც ვერ იცნეს, დაიჭირეს და ისე გაპტყვნეს, რომ ეს ამბავი იმით გათავდა, რომ ვეღარც თავისიანებს მიეკედლა და ვერც ფარშევანგებს, ესე იგი ვეღარ გახდა ვერც ყვავათ, ვერც ფარშევანგათ. მაშ რაღა გახდა? მაშასადამე მაინც კიდე ცუდი ყოფილა. იმ კაცებისათჳს, რომელნიც თავისას მოჰშორდ-

ნენ, და ვერც სხჳას მიუდგნენ სრულებით, შეგვეძლო ფილოლო-გიების სიტყვებით დაგვემტკიცებინა ეს ჰაზრი, მაგრამ ეს სტა-ტია უმისოთაც თათრის კვდარსვით გაიჭიმა ამისგამო ამას ეხლა ჩუჱნ თავს ვანებებთ. აქ მხოლოდ რუსთაველთან ერთობ ვიტყვით, რომ ვინც რა წოდებაში გაჩენილა იმ წოდება-შივე უნდა დარჩეს, რომელიც ტომისა გინდა იყოს. კაცს ყველგან შეუძლიან გაასუფთაოს, გააკეთილშობილოს, და გაასპატიოსნოს თავი თავისი, ოღონდკი სურვილი ჰქონდეს და ჭკვით ცხოვრობდეს და არა გულითა. ძრიელ სასაცი-ლოა და საბრალო ის კაცი, რომელიც თავის ქერქში არ დგება. ფრანცუზი უნდა ფრანცუზობდეს, ქართველიკი ქართველობდეს. ფრანცუზი უნდა ფრანცუზულ ენაზედ სწე-რდეს, ქართველი კიდე ქართულს ენაზედ. ფრანცუზმა ჯერ ფრანცუზული ენა კარგათ უნდა იცოდეს, მერე კი-დე სხჳა. ასე უნდა იქცეოდეს ქართველიც.

ეს ამისთჳს, რომ ამის წინააღმდეგ წასვლა რჯულის დამარღვეველია, ცოდვაა და დამნაშავობა თავის ტომის წინაშე, კაცი, რომელ საზოგადოებაშიაც არის შეზდილი, იმ საზოგადოებას უნდა ემსახურებოდეს გონებითაც და ჴელითაც; ერთის სიტყვით იმას უნდა შესწიროს თავი თჳსი. რათა? იმისთჳს რომ ყოველი კაცი წინაპირველათ თავის თავს ეკუთვნის მერე საზოგადოებას რომელშიაც ის გაჩენილა. რა ნაირათ? კაცს მარტო კაცთა საზოგა-დოებაში შეუძლიან იცხოვროს. იმის გარეთ კაცისათჳს კაცური ცხოვრება არ არის! მაშ რა არის? ცხოვრება მხე-ცური. წარმოიდგინეთ მაგალითებრ კაცი, მცხოვრებელი ცალკე კაცთა საზოგადოებისაგან. რა ჰგონიათ, რა იქნება ის კაცი? დეემსგავსება იმის ცხოვრება კაცურსა ცხოვრე-

ბასა? მე არა მგონია. კაცი თუ თავის მსგავსსა ვერა ხედავს გარწმუნებთ, გამხეცდება, დაუენავდება და დაბლუვდება, ამისათჳს, რომ იმის გონება მრიელ საჭიროებს აზრების გაცვლა გამოცვლაში, რადგან იმასა ჰსურს გართობა, და აი ამაში ჰპოვებს იმ სურვილის დაკმაყოფილებასა. კაცი როდესაც თავის აზრებს სხვას ეუბნება, მაშინ გონებას ავარჯიშებს და თან გრძნობს სიამოვნებასა. გონების ვარჯიშება მას გონებას უხსნის. გონების გახსნა კიდე იმას აძლევს საშვალობასა ცხოვრება გაიმშვენიეროს და იშოვნოს შეძლება განიშოროს უსიამოვნო ცხოვრებაში გარემოებანი. მარტო ამ ნაირი ცხოვრება კიდე აბედნიერებს ყოველსა კერძობით პირსა საზოგადოებაში.

ამ ეხლა ნათქომიდგან შესახებ კაცთა საზოგადოებისა გართა სჩანს, რომ ყველა კაცი მართლაც ეკუთვნის საზოგადოებას ისე, როგორათაც თავის თავსა, რადგან მის ბედნიერებისა და კაცურ ცხოვრებისათჳს მრიელ საჭიროა ერთმანერთში აზრების გაცვლა გამოცვლა თავის სამშობლო ენაზედ. მაშასადამე, კაცი თუ მთლათაც ეკუთვნის იმ საზოგადოებას, რომელსაც ენითაც, შრომითაც და ბედნიერებითაც მიეთჳსება, უნდა ზრუნავდეს მის ფეხზედ დაყენებისათჳს, თუ არა და მრიელ დიდი დამნაშავეა ღჳთის წინაც და თჳს ტომ ხალხს წინაც, მერე რა ნაირი დამნაშავე....

ისინი არ ასრულებენ იმ მშჳენიერს მცნებასა, რომელიც ყველას გვეუბნება: «გიყვარდეთ მოყვასი ისე, როგორათაც თავი თჳსი, მერე კიდევ: ნუ უზამ სხჳას იმას, რაც შენთჳს, არა გსურს.» აი წესი და კანონი, რომელსაც

ყოველი კაცი უნდა მისდევდეს და შეუფარდებდეს თავის ყოველსა მოქმედებასა! ჭკვიანი კაცი ქვეყანაზედ ის არის რომელიცა თავის თავის გაბედნიერებასაც ცდილობს და თავის მოყვასისასაც; მერე ისე რომ თავის ბედნიერებით ის არავის ზარალს არ აძლევს, ესე იგი მტაცებლობით და ავკაცობით არ მდიდრდება და ბედნიერდება. ის კაციკი, რომელიც ცდილობს, ზოგი ერთ კაცის სიამოვნებას და თავის სარგებლობისათჳს დაღუპავსა თავის ტომ სალხსა, ის კაცი უჭკუოა, რადგანც უკანონოდ მდიდრდება. რუს-თაველი ამბობს:

უნდა კაცი კაცისათჳს სიცოცხლისა არ დამრიდად,
გული მისცეს გულისათჳს, სიყუარული გზად და ხიდად,

ძარა ცარცობისათჳს, სხვის ბედნიერების დასარღვევათა. მოყვასი ქრისტიანობაში კაცისათჳს, წინაპირველათ არის თავისი ტომისა კაცი;მერე მთელი კაცობრიობა.მართალია კაცსა უნდა უყვარდეს მთელი კაცობრიობა, ცდილობდეს შეძლებისამებრ მის გაბედნიერებასა, მის მწუხარების შემსუბუქებასა და მოსპობასა. მაგრამ გაბედნიერება და სარგებლობის მოტანა კაცობრიობისათჳს ამოსულა ჯერ მატო ნატურალისტები და ბუნება გამომძიებლებისა წილობაში მრთელ კაცობრიობისათჳს ჯერ მარტო ესენი ზრუნვენ. ამისაგამო ჯერ ჩუენში ამ გვარ სამსახურზედ იმედი ნურავის ექმნება. ჯერ ჩუენში გვიანობამდისინ არ გამოჩნდებიან. ფოხტი, ლუისი, დარვინი, და სხუა. ესლა ჩუენი განათლებულები ამაზედკი არ უნდა ოცნებობდნენ,არამედ ფიქრობდნენ იმაზედ,—რომ თავის სალხისათჳს რამე გაქე-

თონ საკეთილო, დასწერონ ისეთი თხზულებანი, რომ-ლიდამაც ხალხი რასმე სარგებლობას გამოიტანს. ჩუ̂ენი ხალხი ჯერ გაუნათლებელია, ამისგამო იმათთჳს საჭირო არ არის ფილოსოფიური თხზულებანი და სამეცნიერო-ნი. ეხლა ჩუ̂ენ ხალხს უნდა ადვილად საკითხავი წიგნე-ბი, რომ მან ნახოს მისი გემო და ინტერესი, თვალები აუხილოს, გამოიყვანოს ბურანიდგან, გააცნობოს ქვეყნიე-რობა. ჩუ̂ენი მწერლები ეხლა იმ,ს უნდა ცდილობდნენ, რომ ის დასწერონ რითაც შეიძლება ჩუ̂ენი მძინარე და დადუნებულ ხალხის გაღვიძება. ჩუ̂ენი ხალხი ძრიელ და-ფეთებულია ისტორიულ შემთხვევათაგან, მწუხარებას ჩაუ-ფიქრებია. გაუქრვია მისი კაცური გრძნობანი, ბურანში წასულა და თითქმის უკანასკნელად ზნეობათად დამსხვრე-ულა. ამისთჳს იმის ნელ-ნელა რიგიანათ გაღვიძება ამ ნაირ თხზულებათგან ძრიელ საჭირო. მადლობა ღმერთ-სა ეხლა მტრები არ გვაწუხებენ. მაშა სადამე დრო არის რომ თავი ჩუ̂ენი გავაბედნიეროთ, ერთმანეთს უშვე-ლოთ და ფეხზედ დავაყენოთ ყველანი; ვეცადნეთ ვისაც რა შეგვიძლიან ის შევძინოთ ქართველობასა, ზოგმა წე-რით, ზოგმა კიდევ სხუ̂ა ფრივ. დრო არის ახლა ჩუ̂ენი ენას წარმატებასა მივცეთ, ვისწავლოთ და სხუ̂ასაც ვასწავ-ლოთ, და ამ სახით დავიცვათ ის გაუქმებისაგან, თორემ ჩქარა დაეცემა მრავალჯერ შეხვედრივარ გარეშე კაცსა და ჩუ̂ენ ენის მდგომარეობაზედ ლაპარაკი იმათ ჩემთჳს პი-რდაპირ დაურიდებლათ უთქვამს, რომ აი წელიწადს უგან ქართული ენა არავისთჳს არაღა საჭირო იქნებაო, აღარც ეცო-დინება ვისმეო, თუ რომ იმის დაცემულობის მიზეზები არ

მოიხშო, და აღარც ისწავლიანო. ამ აზრმა, არ დავმალავ, მე თავს ზარი დამცა. ეს აზრი, გამოთქმული შესახებ ჩუჱნის სამშობლო ენისა ჩუჱნთჳს უფრო იმისთჳს იყო სამწუხარო, რომ გაუნათლებელმა კაცმა გამოსთქუა. ამას ერთი არ ამბობს, მრავალნი ამბობენ, და ცხადია, რომ ხალხის შეგონება უფრო კარგათ ამტკიცებს ამ აზრ-სა, რადგან ვიცით, რომ ძნელათ იქნება, რომ ის შესც-დეს. მერე ეს იმას ამტკიცებს, რომ იმის მიზეზნი ძრი-ელ თვალ სახილავნი არიან. მიზეზი რომ მიკითხავს, მა-შინ კიდე უთქუამთ, რომ წიგნები არ არის ქართულს ენაზედაო, და არც ვინმე ცდილობს, რომ რამე დასწეროსო და ეს მდგომარეობა, ძრიელ შველის ხალხისაგან ენის და-კარგვასა, თითქმის ყველა ხალხს თავის ენაზედ წიგნები აქუს, ქართველებსკი არა. ყველანი თავის სამშობლო ენა-ზედ ნათლდებიან, ქართველებიკი არა. ესლა ბევრს ქარ-თველსა სურს, რომ წაიკითხოს თავის სამშობლო ენაზედ რამ წიგნი, მაგრამ რადგან ვერ შოულობს, წიგნის კით-ხვის მადაზედ მოსული, ანებებს თავის ენას, და ჰსწავ-ლობს სხუათა ენასა. მაშა დიდი რამე არის. ამის გამო ბევრი ქართულათ აღარცკი ლაპარაკობს. მიზეზები, ამის გასდა სხუაც ბევრი უთქვამს, მაგრამ რა ვქნა, რომ. ერ-თი ანდაზისა არ იყოს, პირი სავსე მაქუს წყლითა.........

მკითხველო თქუჱნი არ ვიცი, მეკი ძრიელ ღრმათა ვარ დარწმუნებული და დაჯერებული ამ კაცის ნათქვამზედ მართალია, ქართულს ენაზედ არა სწავლობენ წერა კით-ხვასა ამისათჳს, რომ წიგნები არ არ არის, და არავინაც არა ცდილობს, რომ რამე დასწერონ თავის ენაზედ. ხალხი

ხედავს, რო ყველანი ქართველები ევროპიულს ენებს აძლევენ უპირატესობას, ხედავს რომ ბევრი ქართველი ნასწავლი რუსულს ენაზედ სწერს თხზულებასა, და არა ქართულზედ, ხედავს ქართულ ენას აღარაფერი არა აქუს მნიშვნელობა თჳთ ქართველებშიაც. დიდი კაცები შინაც და გარეთაც თავის ენაზედ არ კადრულობენ ლაპარაკსა, და ამ გვარათ პირდაპირ ხალხის წინ ამცირებს მის მამაპაპის ენას, რომლისათჳსაც მას აქუს შეფარდებული სასა, რომლის დასცვლად მის მამაპაპას, საქართველოში თითქმის ისეთი ადგილი არ ინება, რომ სისხლი არ დაენთხიოს რომ რა არის მშჳდობა ჩამოაგდონ თავიანთ ქვეყანაში და ისწავლონ თავიანთ ენაზედ მეცნიერებანი, მიიღონ განათლება და გაბედნიერდნენ. მაგრამ ხალხმა რომ დაინახა უგინელა თავის თავსა და სთქუა: «ქართველები გარუსებულვართო!» გამოსთქუა თუ არა ეს გასაოცარი და ბედის წერითი სიტყვები, გასწია თავის თავის დამღუპავ გზაზედ, ტყუილი სთქუა ხალხმა? არა ის მართალია. როგორც ზევითა ვსთქვით, მრთელი ხალხი არასოდეს არ შესცდება. აი ამისაგამო ანდაზაც არის შემდგარი, რომ «ხმა ხალხისა, არის ხმა უფლისაო.» ჩუენ მართლაც არ ვარგივართ. ჩუენი კაცი ისწავლის რამეს თუ არა, მაშინვე გალანძღავს ქართველობას, და დაიწყებს სხუა ენაზედ თხზულების წერას. ერთი უნდა ჰკითხოს კაცმა, ვისთჳს სწერენ რუსულს ენაზედ თხზულებასა, ქართველები ვის უნდა მოუტანონ სარგებლობა თავის მწერლობითა. მადლობა ღმერთსა ეხლა ბევრია რუსეთში განათლებულები ბევრია წიგნებიცა, ისე რომ რუსები ჩუენ მწერლობაში

ახლა აღარ საჭიროებენ. იმისათჳს სულ ფუჭია დ~ უსარგებლო ამათი შრომა, რომელნიც ამ ენაზედ სწერენ ქართველთაგანი.

ქართულს ენაზედ რომ დასწერონ, გინდა რომ ცუდიც იყოს, მაინც წაიკითხვენ, ამისთჳს რომ ამ ენაზედ წიგნები ჯერ ძრიელ ცოტაა, ანუ, უფრო უკეთ ვსთქვათ, სრულებით არ არის.

თუ აზრები არ ეკარგება, ენას მაინც ისწავლის კარგათა. მაგრამ იქნება იმისთჳსა სწერდნენ, რომ იმედი აქჳთ რუსის ლიტერატურის ისტორიაში ამოყვანა თავი? ახ, რა ტყუილი იმედია დ~! ქართველს იმედი აქჳს, რომ რუსებისათჳს ბელინსკი გამოვიდეს, რუსეთის ხალხზედ მოქმედება ჰქონდეს. ქართულს ენაზედ რომ დასწერონ, რაც გინდა ცუდი იყოს თხზულება, მაინც კიდევ ექნება რამე მოქმედება ხალხზედა. მაგრამ რუსეთის ხალხზედ კი არა მგონია. მაშასადამე ქართულს ლიტერატურის ისტორიაშიც ჩაიწერება. ეს უფრო დასაჯერია, ვიდრე პირველი. ამისთჳს ყველა კაცი ამას უნდა ცდილობდეს, რომ მოუტანოს სარგებლობა იმ საზოგადოებას, რომელსაც ეკუთვნის ენითაც დ~ საზოგადოებითაც. მაშინ იქნება ის კარგი კაცი. კაცი რომელიც ამ ნაირათ არ იქცევა, ის თავის შთამომავლობისათჳს გამოუსადეგია.

მაგრამ იქნება ვინმემ მაინც კიდევ იკითხოს, რომ თუ ქართველი ქართველობისათჳს თავის მწერლობით სასარგებლო იქნება, სხვა სალხისათჳს რატომ აღარ იქნება გამოსადეგი? მწერლის მნიშვნელობა ყოველთჳს საზოგადოების განათლებაზედ, გონების გახსნაზედ არის დამო-

კიდებული. მწერალი, რომელიც, საქართველოში დიდ ბრძნად არის მიღებული, საფრანგეთში მწერლის როლსაც ვერ დაიჭერს. ეგრეთვე რუსეთშიაცა. მაგრამ ჩუჱნი კარგათ განათლებული ქართველი სპარსეთში, რომ გავგზავნოთ და იქ დაიწყოს წერა, ისეთი სახელი გაუარდება, რომ ჩუჱნ ვიფიქრებთ, ზეციდგან ხომ არ მიიღო სიბრძნეო, რომ ამას ასე გაუარდა იქ ხმაო. აგრეთვე საფრანგეთის უკანასკნელი ხალხის მწერალი, რომ გადმოვიდეს ჩუჱნ საქართველოში და დაიწყოს ქართულს ენაზედ მწერლობა, ჩუჱნ გვეჩვენება რომ ის ძრიელ დიდი სიბრძნის პატრონი არისო. ეს ჩუჱულებრივ ასე მოხდება ხოლმე ამისთჳს, რომ ხალხი სხუა და სხუა ხარისხზედ დგას განათლებით. ერთ ნაირი განათლება, რომ ყოფილიყო, ამ მოხსენებულს ქუჱყნებში, ყველას ერთ ნაირათ ეჩუჱნებოდათ მწერლები. აი ამისთჳს ვამბობთ, რომ ქართველი მწერალი თავის მწერლობით რუსულს ენაზედ შეუნიშნავი დარჩება, ვერაფერს სარგებლობას მოუტანს საზოგადოებას მეთქი, ქართველობისათჳსკი არა.

ახლა დროა მიუბრუნდეთ იმასა, რომ ჩუჱნი ხალხი იმისთჳს არ სწავლობს ქართულს ენაზედ წერა კითხვასა, რომ წიგნები არ არის, ამის დასამტკიცებელი ფაკტები ბევრია გამოვთქუათ რამდენიმე ამათთაგან ჩუჱნთან მეზობლათ ერთი ქართველი პოვარი არის. ამ საწყალმა ქართულს ენაზედ წერა კითხუა არ იცის, რუსულზედ იცის. რასაკვირველია ესეც კარგია. მაგრამ ქართველმა, რომ ქართულ ენაზედ წერა კითხვა არ იცოდეს, ეს ძრიელ სირცხვილი საქმეა. ეს ქართველი, რომელმაც ლაპარაკიცკი არ იცის

რუსული გვარიანათ, ანგარიშსაც რუსულს ენაზედა ჰსწერს. მე რომ ვკითხე, რატომ ქართულად წერა კითხვა არ იცით, იმან მითხრა: «ჩემო ძმაო, მე რომ ქართული წიგნი არ ვიცი, ეს ჩემი ბრალი არ არისო. მე ვარ იმერელი დედ-მამამ ადრე დამეხოცა, დავრჩი ობლათ და დავაპირე წიგნის სწავლა ქართულ ენაზედ; მაგრამ ჩემდა საუბედუროდ ქართული წიგნი ვერ ვიშოვნე და ამისაგამო დავანებე წიგნის სწავლას ქართულს ენაზედ თავი, და დავიწყე სწავლა რუსულს ენაზედ, რადგან ამ ენაზედ წიგნის შოვნა ძნელი არ იყო. აი ეხლა ჩემი საქმეები მიჰყავს, რიგიანათ, მაგრამ მე ეს ერთი არა ვარ, რომ ქართულს ენ,ზედ წერა კითხვა არ ვიცი. ჩემ გარდა, კიდევ, მრავალნი არიან ქართველები, რომელთაც ჩემსავით წიგნი ვერ უშოვნიათ ქართულს ენაზედ, ამისაგამო რუსულს ენაზედ წერა კითხვა იციან, ქართულს ენაზედკი არა.

იქნება ვინმემ სთქვას, რომ ამ პოვარს ქართული არა ჰყვარებია და ამისთჳს დაუვიწყებიაო. არა მე ამის წინაღმდეგი ვარ: ამ ვაცს მე კარგათ ვიცნობ.......

ეს კიდევ არაფერი, ეხლა ხალხს ერთმა მეტიპოგრაფემ ერთად ლაპარაკში სთქვა: მე როდესაც ჯერ თავარმართებლის ტიპოგრაფიაში, ვიყავი მაშინ რამდენიმე იქ იმერელი ბიჭი შემოვიდა, რომ ქართული წიგნი იყიდონ მე ახალი იქ შესული ვიყავი. იმათ იკითხეს ქართული წიგნები. მე ვიცოდი რომ იქ ქართული წიგნები არ იყო, მაგრამ ხოპსებმა საიდამღაც გამოაძვრეს უთავბოლო წიგნი და მოუტანეს იმერელის ბიჭებსა. შემდეგ რამდენიმე ლაპარაკისა იმათ იყიდეს და წავიდნენ. მე შემეძლო მეთ-

ქუაო, რომ ეს წიგნი არაფრათ არ ვარგიაო, და არ მეყი-ყიდვინებინა, იმისთჳს რადგან უთავბოლო იყო. გარდა ამისა ის იყო ძველებური, ესლა გაუგონარის, ენით და-წერილი. მაგრამ დავფიქრდი და მოსაზრების შემდეგ მე ჩემთავათ ვსთქვი. «ეჰ, მართალია ცუდია, მაგის კითხვით ისინი ვერაფერს საკეთილოს და გამოსადეგს ვერ გამო-ტანენ, მაგრამ რასა იქ, რომ იმ საწყლებს კითხვა სურთ წიგნისა. დე წაიღონ, თუმცა სასარგებლოს ვერაფერს გა-მოიტანენ, მაგრამ წერა კითხვას მაინც ხომ ისწავლიან თავის სამშობლო ენაზედ. სხჳა არა იყოსრა ამ მხრით მაინც მოუტანს სარგებლობასა და ფულს ცუდ უბრალოთ არ დახარჯუჳნ.

ვის არ ეწყინებოდა, ვის არ დააფიქრებდა და არ მოუკ-ლავდა გულსა ამ გაუნათლებელი კაცის სიტყვები. ეს სი-ტყვები. ტყვიაზედ დიდათ დაუკოდავს კაცს გულსა, რო-მელსაც კი ცოტათი მაინც არის გაგება რამე და აქვს გრ-ძნობა. კაცსა, რომელსაც არა სასწავლებელში არ მიუღია განათლება, უსწავლია ცოტა წერა კითხვა მარტო თავის საყვარელ სამშობლო ენაზედ და ამ ნაირათ ეყუ-რება საქმე. ამის გამომთქმელმან უთუოთ თვითანაც ბევრი ქმება წიგნი ქართულ ენაზედ დაწერილი, და უკანა-სკნელს ძლივს იშოვნა, და ამისთჳს ამ ნაირათ მწუხარე-ბით დაიწყო მსჯელობა და გადასწყვიტა იმითი, რომ ჯობია ისევ ამ წიგნში მიცემა ამ სამი აბაზ უზალთუნისა, ვიდრე დახარჯუჳსა ცუდ უბრალოთ. ჩუჱნი ახალგაზდები კი თავებით იმართლონ რომ ეს ჩუჱნი გარყვნილება და მოშვე-ბული ცხოვრება ჩუჱნი სისაწყლისაგან წარმოსდგებაო. მა-

რთალია, ხალხი როდესაც ძრიელ დიდ სისაწყლეშია ამის-თანავე დარდი და მწუხარება აწევს გულზედ, მაშინ რასაც იშოვნის იმასაც ცუდ უბრალოთ გააფუჭებს სიმთვრალეში, რომ რა არის ჯავრი და მწუხარება ცოტა ხნობით მაინც არის გულიდგან მოიშოროს: მაგრამ ამის მიზეზი უფრო და მიჩვევა არის, ტყუილათ ხომ არ არის ანდაზათ ნათქ-ჳამი, რომ «ჩჳეულება მეორე ბუნება არისო.»

დროებით ვისარგებლებ და აქვე ვეტყვი, რომ ესლა იმერეთის ხალხი ისე არის მოწადინებული წიგნის სწავ-ლისა, რომ კაცი არ დაიჯერებს და არ დაერწმუნება იმათ სურვილის გულითადობასა. ბევრჯელ გამიგია და მინახავს რომ იმერელი დაღრეჯოდეს წიგნის მცოდინარეს, წიგნი მასწავლეო. დიდი ხანი არ არის, რაც ერთმა იმერელმა კაცმა ჩამოიყვანა თავისი შჳლი ქალაქში და მიაბარა ერთს მღჳდელს, რომ იმსახურე როგორათაც გსურდესო, ოღონდკი ჩემ შჳლს წიგნი ასწავლეო. როდესაც ხანდის-ხან ამ უბედურს და უბედურის შჳლს ვნახავდი ხოლმე და ვკითხავდი, გასწავლის წიგნს თუ არაო, ის მწუხარებით იტყოდა ხოლმე: «არა.» — რატომა? — რომ ვკითხავდი: ის — მეტყოდა ხოლმე: «მამა ჩემმა რომ მომიყვანა და მღჳდელს მიმაბარაო, წიგნი თუმცა ბევრი ქმება საყიდ-ლათ ჩემთჳს, მაგრამ ვერ იშოვნა და ისე უწიგნოთ დამაგდო და წავიდა სახლში. მე ესლა თუმცა ვიცი სადაც იყიდება ანბანები, მაგრამ ფულები არა მაქჳს, რომ ვიყიდო ღჳდელი კიდე არას დამხდევს, თუმცა ძრიელ შე-მომხარის, რომ უსასყიდლოთ ვემსახურები.» ნეტავი იმ ხალხსა, რომელსაც ეყოლება ქრისტე ღმერთის სრულათ

მიმბაძავნი ღჳდლებო! ჩემი მბაძველნი იყავით, მცნებათ დაუდვა იმან თავის მოადგილეთა, რომელნიც არიან მღჳდლები. ისინი უნდა ცდილობდნენ, რომ ერთი ორი სასამი კაცი კაი ღჳთისნიერ და კაცურ გზაზედ დააყენონ. მაგრამ ამას თავი დავანებოთ. ამაზედ ლაპარაკი ჩჳენი საქმე არარის ეხლა. უკაცრაოთკი არ ვიყო მკითხველთან რომ ასე ძრიელ შევტოპე სიტყვა გაკვრით ღჳდლებზედ ლაპარაკში. რა ვქნა მაო, ჩეს ძემი ბრალი არ არის. ჩჳენი საყოველთაო ცხოვრების ბრალია. ჩჳენი ცხოვრებაში ერთი მეორესთან ისე არიან გადაბმულნი რომ ერთზედ ლაპარაკობდე მეორესაც უთუოთ შეეჯახები.

მიუბრუნდეთ ისევ ფაკტების აღწერას. სადაც მე მივიდე რა საგანებელი განათლება, იქ შაგირდები ქართველელები ყოველთჳს მოვიდოდნენ ხოლმე ჩემთან ქართულ წიგნისთჳს, მაგრამ მე თჳთონ რა მქონდა, რომ იმათთჳს რა მიმეცა საწყლები მოვიდოდნენ მომთხოვდნენ ქართულს ენაზედ წიგნსა და რომ ვეტყოდი არა მაქვსო, მაშინვე კისერ გადაგდებულნი და დაღონებულნი, როგორც რომ პირში სილა შემოჰკრა, იმ ნაირათ უკანვე გაბრუნდებოდნენ ხოლმე. მე რომ შევატყობდი, რომ ყმაწვილებს ძრიელ ეწყინებოდათ და დაღონდებოდნენ, მე მაშინ მოვაბრუნებდი უკან და დასამშჳდებლად ვეტყოდი, რომ ჩქარა გამოვა ქართულ ენაზედ წიგნი საკითხავიო. მაშინ უნდა გენახათ ის ახალი ქართველთა ნორჩნი, ვითარის ღიმილით წავიდოდნენ და ეტყოდნენ ერთიერთმანერთსა, ახ, როდის გამოუჩნდებიან მართლაც ჩჳენს უბედურს

ხალხს მწერლები! ჯერ ისენი, რომელნიც რუსული წერა წითხვა იციან, ისენიცკი საჭიროებენ ქართულ წიგნებში; ამათ რაღა უნდა სთქვან, რომელთაც რუსული წიგნი არ იციან.

ამ შობას ერთი ჩემი ამხანაგი თუშებში წავიდა და თან წაიღო კამიტეტისაგან გამოცემული 1864 წლის თფი-ლისში ქართულ-რუსული სახარება, მხედრულ ასოებით და-ბეჭდილი, თურმე გაიგეს თუ არა თუშებმა, ამა და ამ კაცს წიგნი აქვს ქართულიო: მაშინვე მივიდნენ და სთხო-ვეს, რომ მას იმათთვის მიეყიდნა. მაგრამ უარი რომ დაა-ტყეს, მაშინ თურმე სთხოვეს, რომ იმას ჩამოეტანა ქა-ლაქიდგან ქართული წიგნები გასასყიდათ და ზედაც დაე-ტანებინათ: «ჩვენი შვილებისათვის იყიდიან.»

აგრეთვე ეთქვათ მთიულებსაცა ერწოში. მეორე შაგი-რდისათვის, რომ ქართული წიგნები მოგვიტანეთო და ჩვენ შვილებისათვის ვიყიდითო.

ამისთანა ფაქტებს ძრიელ ბევრს ვიტყოდით, მაგრამ ესეც კმარა იმისთვის, რომ მკითხველმა დაიჯეროს, თუ სურს ესლა ხალხს წიგნის სწავლა ქართულ ენაზედ. მაგ-რამ თუ მაინც და მაინც არ იკმარა და ეჭვი შემოიტანა ჩემს აზრებში მკითხველმა, ვთხოვთ გასამტყუვნებლად თვითონ გამოიძიოს. მე არა მგონებ რომ იმან მეტი ფა-ქტები არა ნახოს, ვიდრემე ამისათვის რომ რამდე-ნიც დრო იზდება, იმდენი ხალხს სურვილიც უცხოველდე-ბა. ჩვენ აღარაფერს ვეტყვით დაუჯეროს.

ამდენი რათ ილაპარაკეო, იტყვის მკითხველი? რას ჩა-მოგვეკიდა, რა სურს ჩვენგნითაო? ჩემო მეგობარო

მკითხველო, განა ვერ მიხჳდი? თუ მართლაც ვერ შეიტყე ჩემი ლაპარაკის აზრი, ჩემი განზრახვა, გამოცდილმა უნდა გითხრა: რომ შენ—ნუკი გეწყინება—არ ყოფილხარ გონიერი. აბა ამისთანა უბრალო საქმე არ გესმის, სხჳა რაღა უნდა გესმოდეს. მაგრამ მარტო შენ არა ხარ ამისთანა. ჩჳენ მთელ ქართველობას თითქმის ეს ზნე ჭირს. ვიდრემდისინ იმას თითით სხჳა არ უჩვენებს საქმეს, ის თჳთონ ვერაფერს ვერ მისვდება. ამის მიზეზი რასაკჳრველია ის არის, რომ იმას თავის სიცოცხლეში არაფერი უკითხავს თავის თავისათჳს და არ განჩენია და სხვის ჭკვით უცხოვრნია, ესე იგი ვისაც რა უთქჳამს დაურღვეველ ჭეშმარიტებათ მიუღია; და ამისგამო ის სრულებით გადაჩჳეულა თავის უფალს აზრიანობასა და თხზულებიდამ მთელი აზრის გამოტანასა. მთელ აზრს ის გამოიტანს, ის შეიტყობს სტატიის ანუ თხზულების მიმართულებასა, რომლის ჭკუა გონებასაც დაუდუღნია თავისუფალ აზრიანობაში, ის კაცი არაფერი კაცია თავის ჭკუა გონებით, რომელიც მაიმუნსავით, უმოწილდება სხვის ნათქჳამსა. ეს მე იმაზედ ვსთქვი, რომ ჩჳენი ქართველები ისეთი ნიჭიერნი არიან, რომ ლაპარაკში შეუძლიანთ ყოველი შენი სიტყჳა გადასხვაფერონ. სხჳა აზრით მიიღონ, თუმცა შენ იმ აზრზედ არ გითქჳამს,— ამისგამო ვშიშობ ამასაც სხჳა აზრი არ გამოაბან. სტატიის აზრიც არ გადაასხვაფერონ. ჩემი განზრახვა ამ სტატიის დაწერაში მხოლოდ ის იყო, რომ შემეტყობინა ქართველობისათჳს, ისე ვაკვრით, თავისი მდგომარეობა, დამემტკიცებინა «ზარმაცი კაცებისათჳს,» რომ ჩჳენი

ხალხი ამ ჟამად სწავლისათჳს ძრიელ მომზადებულია, ამისაგამო სისრულითაც წაიკითხავს ქართულს ენაზედ დაწერილ თხზულებას, დამემტკიცებინა, რომ ეხლა ძრიელ საჭიროა ჩუენს ენაზედ გაზეთები და ჟურნალები გამოიცემებოდნენ. თუ ეს ყველაფერი შევიძელი, მაშ მე კმაყოფილი ვიქნები.

დიმიტრი ჯანაშჳლი.

---

## განცხადება.

გამოვიდა ქართული ანბანი ახალს მეტოდზედ და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათჳს, შე[illegible] ი. გ-ჳ. წიგნი შეიცავს ოთხ თაბახზედ მეტს, [illegible] ერთი აბაზი, ისყიდება სტეფანე მელიქაშჳლის და კომპ. სტანბაში და ქართული სემინარიაში. —